ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი!

კოლხეთი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2018 წელი №8-9 (9431-32) 16 აპრილი-15 მაისი ფასი 80 თეთრი

კოლხეთი 95 წლისაა

„კოლხეთის" რედაქციას!

გაზეთ „კოლხეთის“ ძვირფასო თანამშრომლებო! გულითადად გილოცავთ გაზეთის დაარსებიდან 95 წლის ღირსშესანიშნავ თარიღს! 95 წელი იყო სიცოცხლით სავსე, შეძლებისდაგვარად დაარქვა მოვლენებს თავისი სახელი, გაუძლო ამქვეყნიურ ცვლილებებს და რაც მთავარია უყვარდე ხალხს არ არის ადვილი. „კოლხეთის“ დამსახურებათა შორის, მსურს ასევე ვახსენო გულისხმიერი დამოკიდებულება ჩვენს ეპარქიაში მიმდინარე მოვლენების მიმართ, რომელთა ასახვას კეთილგანწყობით ცდილობთ თქვენი გამოცემის ფურცლებზე. გისურვებთ მომავალ წარმატებებს და მრავალჟამიერ სიცოცხლეს! ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი)

გილოცავთ!

გაზეთ „კოლხეთის“ ყველა თანამშრომელს, სენაკის მოსახლეობას ვულოცავ გაზეთის იუბილეს.

ყველა დროში „კოლხეთი“ იყო ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჯისცემის, სენაკის მოსახლეობის განწყობის მაჩვენებელი. ბევრი ღვაწლმოსილი ადამიანი მსახურობდა რედაქციაში, მინდა უღრმესი პატივისცემით მოვიგონო ყველა მათგანი, ამასთან, პატივი მივაგო გარდაცვლილთა ნათელ ხსოვნას.

მჯერა, რომ „კოლხეთის“ რედაქცია, მისი შესანიშნავი კოლექტივი მომავალშიც წარმატებულად, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გააგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას.

გილოცავთ კიდევ ერთხელ და გისურვებთ წარმატებებს.

გულწრფელი სიყვარულით,

გურამ მისაბიშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველოს უფროსი

ღირსეული გამოცემა სართ

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო/, ვულოცავთ „კოლხეთის” რედაქციას 95 წლის იუბილეს და ვუსურვებთ წარმატებებს საქმიანობაში.

ჩვენი ორგანიზაციისათვის დიდი პატივია, თქვენთან თანამშრომლობა, რადგან მიგვაჩნია, რომ თქვენ ერთერთი ღირსეული რეგიონალური გამოცემა სართ, რომელმაც გაუძლო თითქმის საუკუნოვან სიძნელეებს და დღესაც პროფესიონალურად მუშაობთ სენაკის მუნიციპალიტეტში.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა თქვენს გაზეთთან და მომავალშიც გეგმავს თანამშრომლობას.

გვიხარია, რომ „კოლხეთში” მუდამ შუქდება გარემოს დაცვითი საკითხები და თქვენც გარემოს დამცველებთან ერთად ზრუნავთ გარემოს დაცვაზე.

ნინო ჩხობაძე,
რუსუდან სიმონიძე,
საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარეები

„კოლხეთისა” და კოლხური ძალაქის ცხოვრების შტრიხები



სენაკის მუნიციპალიტეტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი სენაკი. ქალაქური ტიპის დასახლებული პუნქტი იწოდებოდა ახალსენაკად. 1933 წელს რევოლუციონერ მიხა ცხაკაიას პატივსაცემად ქალაქს მიხა ცხაკაია ეწოდა, 1976 წლიდან კი ცხაკაია. 1989 წლის ივლისში დაუბრუნდა ძველი წოდება „სენაკი“

სენაკი გამორჩეული ისტორიისა და კულტურული ტრადიციების მქონე ქალაქია. სენაკის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოა მერია, წარმომადგენლობითი ორგანო- მუნიციპალიტეტის საკრებულო. 2017 წლის 21 ოქტომბერს თვითმმართველობის არჩევნებში მოსახლეობამ სენაკის მუნიციპალიტეტის მერად აირჩია ბატონი ლევან კუპრეიშვილი, 20 ნოემბერს მუნიციპალიტეტის მეექვსე მოწვევის საკრებულოს პირველმა სხდომამ შეაჯამა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნების შედეგები, საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი კახაბერ რუსია. 2016 წლის ოქტომბერში მოსახლეობამ სენაკის მაჟორიტარ დეპუტატად ირაკლი ბერაია აირჩია. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სენაკის მუნიციპალიტეტში დევნილების ჩათვლით მოსახლეობა შეადგენს 39700 ადამიანს.

სენაკში დიდი ყურადღება ექცეოდა საგამომცემლო პოლიგრაფიულ საქმიანობას, სენაკში, ძმები თავართქილაძეების სტამბაში დაუბეჭდავთ „ვეფხისტყაოსანი“. სენაკის რაიონული გაზეთის პირველი ნომერი. გამოვიდა 1923 წლის 1 მაისს. მას „კომუნა“ ერქვა. შემდეგ გამოდის „ავანგარდის“, მთლიანი კოლექტივიზაციის“, „კოლხეთის ცისკრის“ სახელწოდებით. „კოლხეთის ცისკარს“ რეგიონალური გაზეთის ფუნქცია ჰქონდა და სამ რაიონს სენაკს, მარტვილს და ჩხოროწყუს აერთიანებდა. 1965 წლიდან მას კვლავ რაიონული გაზეთის სტატუსი უბრუნდება და „კოლხეთის“ სახელწოდებით გამოდის. ათვლის წერტილიდან დღემდე სულ გამოსულია 9430 ნომერი. გაზეთთან თანამშრომლობდნენ სახელოვანი მეცნიერები და თეატრალები: არნოლდ ჩიქობავა, ანდრია აფაქიძე, თეოფანე დავითაია, პეტრე ქავთარაძე, ვალერიან გუნია, აკაკი ხორავა. სენაკს გალაკტიონ ტაბიძე წვევია. ის გაზეთ „ავანგარდის“ რედაქციაში შეხვედრია პოეზიის მოყვარულებს. სხვადასხვა წლებში მკითხველებთან შეხვედრა მოუწყვიათ გიორგი ლეონიძეს, იოსებ გრიშაშვილს, იოსებ ნონეშვილს, ფუცუ დგებუაძე-ფულარიას და სხვებს. სამოქალაქო ომის წლებში სტამბის განადგურების შემდეგ „კოლხეთი“ იბეჭდებოდა ქუთაისში, სამტრედიაში, ამჟამად იბეჭდება ქ. ფოთის შ.პ.ს „ირიდას“ სტამბაში.

„კოლხეთის“ დამახასიათებელი ნიშანი ყოფილა და არის ეროვნული სულისკვეთება, დაფასება მშრომელი ადამიანებისადმი, პროფესიონალიზმი, ზრუნვა ახალგაზრდების ღირსეული აღზრდისადმი, მშობლიური სანახების, ისტორიის, კულტურის, ხელოვნების სფეროში მიმდინარე პროცესებისადმი.

გაზეთ „კოლხეთის“ რედკოლეგია აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის მერიასთან, საკრებულოსთან, მაჟორიტარი დეპუტატის სენაკის ბიუროსთან, სასწავლო-საგანმანათლებლო, კულტურულ დაწესებულებებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან, არასამთავრობო სექტორთან, პოლიტიკურ პარტიებთან, ბიზნესის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მუშაკებთან. რეგიონის სხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან, მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ვეტერანებთან – მკითხველებთან.

წლებმა გამოცდილებით დახუნძლა გაზეთი „კოლხეთი“, იგი არ დაბერებულა, კიდევ ბევრი ადამიანის ვინაობას და დვაწლს შემოუნახავს მემატიანეს.

თაობიდან თაობამდე

ნათქვამია, გაზეთი ერთი დღით ცოცხლობსო, კი ცოცხლობს გაზეთი ერთი დღით, მაგრამ ის ერთი დღე არასდროს არ მთავრდება, ის ერთი დღე მუდმივად მეორდება და საუკუნეებს უძლებს. ამის ნათელი დასტურია გაზეთ „კოლხეთის” 95 წლოვანი სიცოცხლე, რამდენადაც ის თითქმის ერთი საუკუნეა დგას სენაკის სოციალ-ეკონომიკური-კულტურული განვითარების პრობლემათა გადაწყვეტისათვის ბრძოლის ხაზზე, აგერ უკვე საუკუნეა დღევანდელობას მოახედებს ჩავლილისაკენ და ამით წარსულის, ახალოვან ადამიანთა სახელებსაც არ ედებათ დავიწყების ხავსი, გაზეთი იყო და მუდამ იქნება წინაპართა ტრადიციების ერთგული დამცველი და გამგრძელებელი, მან შემოუნახა თაობებს თქვენი წარსული, მისი ისტორია და მოიტანა დღევანდლამდე, ამიტომაც სწამდათ და სჯეროდათ მისი სიდიადის, სიძლიერის, ხმამაღლა შეძახილის და ამ რწმენით გადაშალეს სენაკელებმა 95 წლის წინათ პირველი გაზეთი „კომუნა” და ამ დღიდანვე იგი ყველა ოჯახის კეთილი მეგობარი გახდა.

ჟურნალისტიკა ხომ მუდმივი, მოუსვენარი ზღვაურია სულისა, ფიქრისა, განცდისა, ჟურნალისტი ხომ ყველა პროფესიისაა, მისი საქმიანობა კონკრეტული ზოგადად და ზოგად კონკრეტულ ასპექტში განიხილება. სწორედ ამ განცდებითა და პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობენ დღესაც „კოლხეთის” ჟურნალისტები, გაზეთის ბრძოლის ხაზი კი მძიმე და ძნელ, წინააღმდეგობრივად ფართო მასშტაბებზე გადიოდა და გადის დღესაც და ასე უსასრულოდ გრძელდება თაობებიდან თაობებამდე. ამიტომაც არის, რომ გაზეთის ერთი დღის სიცოცხლე პეპელასავით ერთ დღეს არ მთავრდება, ის ერთი დღე მუდმივად მეორდება და საუკუნეებს უძლებს.

გილოცავთ, ძვირფასო სენაკელებო, კოლეგებო საუკუნის იუბილეს, მრავალჟამიერ თქვენი მართალი სიტყვა თქვენი მკითხველის საიმედოდ და სანუგეშოდ.

„ეგრისელები”
წალენჯიხა.

დროს გაუძლეთ

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი გილოცავთ გაზეთის 95 წლის იუბილეს. გვიხარია, რომ გაუძელით დროს, სირთულეებს, და კვლავ დგახართ ქვეყნის და მშობლიური კუთხის სამსახურში. გისურვებთ პროფესიულ წარმატებებს, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს!

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი

ეს ტრადიციაა...

ჩვენ არ გვაქვს ასე დიდი და მნიშვნელოვანი შენარჩუნებული ტრადიციები და ვფიქრობ, ეს გაზეთი მხოლოდ ბეჭდური ორგანო კი არა, ტრადიციაა. მიხარია, რომ კოლხეთი ცოცხალია და მიხარია, ის რომ ეს სიცოცხლე მხოლოდ სიმბოლური არ გახლავთ,.

მიგულეთ გვერდით.

გიორგი კეკელიძე,
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი

„გაზეთი უზარმაზარი ბეჭედია...”

„გაზეთი უზარმაზარი ბეჭედია, რომელიც ამტკიცებს, რომ ქალაქია კულტურული!” – ასე მოგვილოცა ცნობილმა ქართველმა მსახიობმა ზურაბ ჯაფარიძემ ჩვენი გაზეთის საიუბილეო თარიღი. უკეთესს ვერაფერს ვეტყვით 95 წლის “კოლხეთს”. სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი, სიმართლე და სამართალი არ მოჰკლებოდეს მას. კალამი დაგელოცოთ, საკუთარი ნიშა არ დაგეკარგოთ სიტყვით აჭრელებულ თანამედროვეობაში. მოყვარე, მოკეთე და მკითხველი არ მოგკლებოდეთ თვალის სეირს აყოლილ დღევანდელობაში.

გილოცავთ გაზეთის დღესასწაულს თქვენ, ჩვენს კოლეგებს, ყოველდღიურად მის სუნთქვას რომ უგდებთ ყურს და რუდუნებით ქმნით და ინახავთ თქვენი მუნიციპალიტეტის ისტორიას ჩვენი ქვეყნის ერთ პატარა ქალაქში, სადაც სჭირდებათ და იციან ბეჭდური მედიისა და ამ გაზეთის ფასი!

პატივისცემით გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია

კოლხეთელები – 95 წელი

მედეა მაღათურია



არ არის ადვილი, წერო ყოველ ეროვნულ და საზოგადოებრივ მოვლენაზე, იცოდე ყველა დარგის ტერმინოლოგია, დაიცვა სალიტერატურო ენის ნორმები, იყო მიუკერძოებელიც და მოზომილიც. ერთი სიტყვით ძნელია იყო ჟურნალისტი.

25 წელი ვემსახურები ამ რთულ პროფესიას, არაერთი ნარკვევი, ინტერვიუ, ჩანახატი რეპორტაჟი მომიმზადებია, მრავალი უძილო ღამე გამითენებია იმის მოლოდინში მოეწონებოდა, თუ არა რესპოდენტს ჩემი ნაჯაფ-ნაღვაწი. მოწონების სიხარულიც განმიცდია და შენიშვნა - საყვედურსაც შევგუებივარ. წლებმა გამომცადა, პასუხისმგებლობა გამიორმაგა, თვალსაწიერის არეალი გამიფართოვა, ცნობადობა გამიმრავლა.

მადლობა „კოლხეთს“ და იმ ადამიანებს, რომლებმაც დახმარება გამიწიეს პროფესიული პოტენციალის წარმოჩენაში. მშვიდობა და სიხარული ჩემს მეგობრებს, კვლავაც „გრძელი ჟამი“ 95 წლის გაზეთს.

მაია გერგაია

ჩემი და გაზეთ „კოლხეთის” თანამშრომლობა 12 წლის წინ დაიწყო, როგორც იტყვიან ვიყნოსე ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალი გაზეთის სურნელი და აქ გატარებული ყოველი წუთი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ვთვლი, რომ ჟურნალისტის პროფესია არ არის იოლი, რადგან ფაქტიურად 24 საათიან რეჟიმში უწევს მუშაობა, ის ყოველთვის მზად უნდა იყოს მოვლენების გასაშუქებლად. იყო სირთულეებიც, მაგრამ არ გამჭირვებია, რადგანაც ყოველთვის ვგრძნობდი კოლეგების თანადგომას.

მჯერა, რომ ჩვენ ღირსეულად გავაგრძელებთ წლობით ჩამოყალიბებულ ტრადიციებს და კვლავაც მრავალი ლამაზი ფურცელი შეავსებს „კოლხეთის” ისტორიას. ჩემს კოლეგებს ვულოცავ 95 წლის იუბილეს და ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებებს!

მარიკა მიქაძეტიძე



ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ჟურნალისტის პროფესია იყო ძალიან საინტერესო და ამავდროულად საპასუხისმგებლოც. რადგან ვთვლი – როცა ინფორმაციას აწვდი საზოგადოებას, ეს უნდა იყოს სიმართლითა და ობიექტურობით გაჯერებული.

სანამ გაზეთ „კოლხეთში“ მოვიდოდი, ვმუშაობდი თბილისის პოლიტექნიკურ, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის კოლეჯებში. ქართული ენისა და ლიტერატურის, მეტყველების კულტურის პედაგოგად, პარალელურად კი სასწავლო ნაწილში სპეციალისტად. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტური გამოცდილება არ მქონია შემიძლია ვთქვა, ძალიან კარგად შევეთვისე ჟურნალისტის პროფესიას. მომწონს საქმე რასაც ვაკეთებ, გავეცანი ბევრ სიახლეს, ამისათვის კი მინდა დიდი მადლობა გადავუხდო ჩემს უფროს კოლეგებს, რომლებმაც ბევრი რამ მასწავლეს. შემიძლია თამამად ვთქვა, მათი დახმარება და გულთბილი მიღება ძალიან დამეხმარა ახალი პროფესიის დაუფლებაში.

და ბოლოს, მინდა მივულოცო საიუბილეო თარიღი „კოლხეთელებს“, მისი ძველი და ახალი თაობის ჟურნალისტებსა და თანამშრომლებს, ერთგულ მკითხველებსა და გულშემატკივრებს. ვისურვებდი, რომ გაზეთ „კოლხეთს“ კიდევ მრავალი წლისთვის გაეძლოს და ყოფილიყოს ჩვენი ულამაზესი რეგიონის მემატიანე.

ქეთევანა ჩაჩიბაია

30 წელია ვმუშაობ გაზეთ „კოლხეთის“ რედაქციაში. მოგეხსენებათ გაზეთის მამოძრავებელი ძალა არის ფინანსი, თუკი ფინანსურად გამართული არ ხარ, რათქმა უნდა ვერც ხარისხიან გაზეთს გამოსცემ და ვერც თანამშრომელს მოიმადლიერებ. მინდა ჩემს გაზეთს ვუსურვო მეტი ფინანსური სიძლიერე და ტირაჟის გაზრდა.

მოკრძალებით ვხრი თავს „კოლხეთის“ გარდაცვლილ მუშაკთა წინაშე, ამჟამინდელ თაობას ვუსურვებ ტრადიციების დაცვას.

100 წლის იუბილესაც ერთად შევხვდებით

მეშვიდე წელს ითვლის ჩვენი ურთიერთობა ფოთის სტამბასთან, შპს „ირიდასთან” გაზეთის ხარისხი უპირველესად პოლიგრაფიაზეა დამოკიდებული.

გაზეთი „კოლხეთი” მადლობას უხდის გულთბილი დამოკიდებულებისათვის სტამბის დირექტორს გიორგი ნოდიას, ყველა მუშაკს, ვინც გაზეთის ტექნიკური სახის უზრუნველყოფისთვის იხარჯება.

გვჯერა, 100 წლის იუბილესაც ერთად შევხვდებით ფოთელო კოლეგებო!

დროთა სრბოლაში შექმნილი მაგიანე

მორდეხ გაგულაშვილი

მწერალი ვლადიმერ თორდუა
რედაქციაში

თამაზ კანკია და გოგი
ქავთარაძე

მშენებლის დღე რედაქციაში

თამაზ კანკია ხელოვნების მუშაკებთან

იოსებ ნონეშვილი სენაკელ მოსწავლეებთან

პრესის და რადიოს დღე

კოლხეთის რედაქტორები და
ჟურნალისტები

პრესის და რადიოს დღე

საგამოფენო დარბაზებში

საქართველოს მთავარი პროკურატურის პროექტის „საზოგადოებრივი პროკურატური”-ს ფარგლებში, სენაკის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით, თეკლათის საჯარო სკოლის X-XII კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელები მზია გვარამია და ნელი ოთხოზორია, მიმდინარე წლის 16 აპრილს, ეწვივნენ სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს.

სტუმრები გაეცნენ საქართველოს ეროვნული გმირის - ჟიული შარტავასა და აფხაზეთის ომში დაღუპული სენაკელების საგმირო საქმეებს, ასევე მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში განთავსებულ ექსპონატებს, წარსულის ამსახველ არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ყოფით მასალებს.

მუზეუმში მოსულთ საგამოფენო დარბაზებში მეგზურობას უწევდნენ ჟ.შარტავას მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი ნანა ფირცხალავა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველი გრიალა ანთია.

მუზეუმში მოსწავლეებთან ერთად იმყოფებოდნენ სენაკის რაიონული პროკურატურის პროკურორი ბატონი გიორგი კოდუა და შსს სენაკის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ლაშა გუნავა.

თეიმურაზ რეკვავა
ჟიული შარტავას მუზეუმის თანამშრომელი

პატივი მივაგეთ

9 წლის წინ, 2009 წლის 11 აპრილს აღესრულა საქართველოს ეროვნული გმირის - ჟიული შარტავას მამა, სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პირველი დირექტორი ბატონი კალისტრატე შარტავა. ამ დღესთან დაკავშირებით ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში მოეწყო კ.შარტავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენა. მუზეუმის თანამშრომლებმა წუთიერი დუმილით პატივი მივაგეთ ღირსეული სენაკელის ხსოვნას, გავიხსენეთ მისი ღვაწლი და პიროვნული თვისებები. განსაკუთრებით დიდი ემოციები გამოიწვია ბატონი კალეს ცხოვრების ბოლო პერიოდში გადაღებულმა ვიდეოკადრებმა.

იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარში მუზეუმის თანამშრომლებმა სანთლები დავუნთეთ ბატონ კალესა და შარტავების ოჯახის გარდაცვლილ წევრებს.

მარინე აბრამია

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო სართანია
რედაქტორი: მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103 ტელ: 27 61 50
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ.ფოთში შპს „ირიდა„-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 0 (493) 22 24 33

... რაც შორსა ჰსცემს ეურნალ-გაზეთის თვალი,

ინფორმაციას რეალურ ფაქტებს უნდა ეფუძნებოდეს

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ლევან კუპრეიშვილი აქტიურად თანამშრომლობს რეგიონალურ პრესასთან. გაზეთი „კოლხეთი" მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურის დახმარებით აწვდის ინფორმაციას მკითხველს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სოციალურ პროგრამებზე, მომავლის გეგმებზე.

ამჟამად ბატონი ლევანი „კოლხეთის" შემოქმედებით ჯგუფს ულოცავს 95 წლის იუბილეს და იმ როლზე საუბრობს, რაც ზოგადად აკისრიათ რეგიონის ჟურნალისტებს მოსახლეობის ინფორმირებისა და საზოგადოებრივი აზრის სწორად წარმართვის საქმეში.

ბატონო ლევან, სართველოში მედიასაშუალებების და ტელევიზიების სიმრავლეა, თქვენ თავად, რომელს ანიჭებთ უპირატესობას, ბეჭდურ, ონლაინ მედიას თუ ტელევიზიას?

ჩემი სამსახურეობრივი დღის რეჟიმიდან გამომდინარე განვიცდი დროის დეფიციტს, ამიტომაც უფრო მეტად ვსარგებლობ ონლაინ მედიასაშუალებებით, რადგან სიახლეებს შემიძლია გავეცნო ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე. სატელევიზო პროგრამებიდან უპირატესობას ვანიჭებ შემეცნებითი ხასიათის გადაცემებს, რა თქმა უნდა დროდადრო ცენტრალურ და რეგიონალურ გაზეთებში გამოქვეყნებულ კორესპონდენციებსაც ვეცნობი.

თქვენი აზრით, როდის იზრდება ხელისუფლების მხრიდან მედიასაშუალებისადმი ნდობის ფაქტორი, როცა ის იცავს ჟურნალისტური ეთიკის კომპონენტებს (სიმართლე, გულახდილობა, ფაქტების სიზუსტე), თუ მაშინ, როცა იგი საზოგადოებას აწვდის სენსაციურ, „საინტერესო საკითხავ " თემებს?

ხელისუფლების მხრიდან დიდია ნდობის ფაქტორი იმ საინფორმაციო საშუალებისადმი, რომელიც საზოგადოებას აწვდის დაზუსტებულ ინფორმაციას. საინფორმაციო საშუალებამ აუცილებლად უნდა გააცნობიეროს საზოგადოების წინაშე აღებული პასუხისმგებლობა. ჟურნალისტმა კეთილსინდისიერად და ფაქტებზე დაყრდნობით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მკითხველს, მაყურებელს. საინფორმაციო საშუალება არ შეიძლება გამოყენებული იქნას პირადი მიზნებისათვის. ცხადია, ხელისუფლების ნდობის ფაქტორიც იმ მედია საშუალებისადმი იზრდება, რომელიც რეალურ სურათს ქმნის იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ქვეყანაში, რა ტემპით ვითარდება მუნიციპალიტეტი, რა ძვრებია ინფრასტრუქტურული და კულტურულ-ეკონომიკური განვითარების საქმეში. თუმცა ეს სულაც არ უკარგავს უფლებას ჟურნალისტს, ხელისუფალს მოთხოვოს დანაპირების შესრულება, მიუთითოს ხარვეზზე. პრესა უნდა იყოს თავისუფალი და არა სენსაციური. უნდა ჭარბობდეს ფაქტებით გაჯერებული თემატიკა და არა მხოლოდ საინტერესო საკითხავი მასალა.

ბატონო ლევან, ყოველი საზოგადოებრივი მოვლენა საინფორმაციო საშუალებაში პოულობს გამოხატულებას. თქვენი აზრით, ეხმარებიან თუ არა რეგიონის ჟურნალისტები ადგილობრივ თვითმმართველობას პოლიტიკის გატარებაში და ახერხებენ თუ არა საზოგადოებრივი აზრის სწორად წარმართვას?

ვთვლი, რომ ჟურნალისტიკა უზარმაზარი ფუნქციის მქონე ინსტიტუტია, რომელიც საზოგადოებრივ აზრს წარმართავს. ზოგადად საზოგადოებას და მის ყველა წევრს აქვს უფლება დროულად და გასაგებ ენაზე შეიტყოს ამომწურავი ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ. მიმაჩნია, რომ გაზეთი „კოლხეთი" ამ მისიას კარგად ასრულებს. ამ კუთხით, ის ნამდვილად ეხმარება ადგილობრივ თვითმმართველობას. „კოლხეთის" რედაქციის საქმიანობა ეფუძნება პროფესიონალიზმს, სიზუსტეს და ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე.

რას უსურვებთ და ურჩევთ 95 წლის გაზეთის რედაქციას?

95 - წლის ისტორიის მქონე გაზეთი „კოლხეთი" ნამდვილად არის მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი.

გაზეთმა თავის ფურცლებზე შემოინახა ჩვენი ძირძველი კუთხის წარსულის თუ უახლესი ისტორიის ყოველი ფაქტი, მოვლენა.

რამდენადაც წინა თაობისაგან გადმოცემით ვიცი, გაზეთის რედაქციის ირგვლივ მუდამ იკრიბებოდნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით განსაკუთრებულ ამინდს ქმნიდნენ რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ვულოცავ გაზეთის რედაქციას და მის მუშაკებს საიუბილეო თარიღს. გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ 95 წელი თითქმის საუკუნეა, ეპოქაა პრესისთვის, ქარტეხილებისა და ბობოქარ დღეთა გამოვლენაა, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში.

გისურვებთ წარმატებებს, დღეგრძელობას, მეტ ხელმომწერს, მეტ მკითხველს და უფრო მაღალ რეიტინგს.

მოამზადა მედეა ბაღათურიამ

გვილოცავენ

დიდი ისტორიის მქონე გაზეთი

გაზეთი „კოლხეთი" გამოცემიდან 95-ე წლისთავს ზეიმობს. გულითადად ვულოცავ გაზეთის შემოქმედებით ჯგუფს ამ თარიღს.

დაარსებიდან დღემდე, გაზეთი იყო ქვეყნისა და ქალაქის აქტუალური მოვლენების ამსახველი. წლების განმავლობაში „კოლხეთის" გუნდის თავდაუზოგავი შრომითა და უდიდესი ძალისხმევით, გაზეთი ჩამოყალიბდა ჩვენი უახლესი ისტორიის მემატიანედ.

მრავალი სირთულის მიუხედავად, „კოლხეთი"-ს გამოცემა არასდროს შეწყვეტილა. დიდი ისტორიის მქონე გაზეთი დღესაც მკითხველის დიდ პატივისცემას იმსახურებს. მჯერა, რომ ერთგული მკითხველი არასოდეს მოგაკლდებათ.

კიდევ ერთხელ ვულოცავ იუბილეს თითქმის საუკუნოვანი ისტორიის მქონე გაზეთს, რედაქციის თითოეულ თანამშრომელს. წარმატებებსა და ერთგული მკითხველის სიმრავლეს ვუსურვებ, მრავალი წელი ღირსეულად გეტარებინოთ ღირსეული გაზეთის სახელი.

პატიცისცემით კახაბერ რუსია,
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

კოლხეთელი ვარ

წარმატებებით აწ და მარადის! გავბედავ და ვიტყვი, რომ კოლხეთელი ვარ, რადგან 45 წლის წინათ სწორედ გაზეთ „კოლხეთის" რედაქციამ დამილოცა გზა დიდი ჟურნალისტიკისკენ. მართალია, მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ დღემდე მახსოვს პირველი ლექსისა თუ პუბლიცისტური წერილის დაბეჭდვით გამოწვეული სიხარული. სათუთად ვინახავ ჩემი პირველი ჟურნალისტური ნაბიჯების ამსახველ გაზეთის ფურცლებს. ამაყი ვარ იმით, რომ თითქმის საუკუნის თანატოლი ჩვენი გაზეთი, როგორც უწინ, დღესაც ჭაბუკური შემართებით ემსახურება სამშობლოს და სიმართლე მიაქვს ხალხის გულამდე, ჭირსა და ლხინშიც ხალხის გვერდით დგას. ამიტომაც ინარჩუნებს მკითხველთა შეუნელებელ სიყვარულს, ამიტომაც მოუთმენლად ველოდი მის ახალ ნომრებს. მიხაროდა და მიხარია გაზეთის დღევანდელი წარმატებები, რაც იმ შემოქმედებითი კოლექტივის დამსახურებაა, რომელიც რუდუნებით აკეთებს ეროვნულ საქმეს – მშობლიურ კუთხეს მატიანეს უქმნის! იუბილეს გილოცავთ, ძვირფასო კოლხეთელებო! ნათელი გზითა და გამარჯვებებით გევლოთ აწ და მარადის!

ვაჟა დანელია,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე,
ილიაუნის ასოცირებული პროფესორი

წარმატებებს გისურვებთ

გაზეთის დანიშნულება რაიონის მუნიციპალიტეტის ცხოვრების წარმოჩენაა.

„კოლხეთის" ფურცლებზე არაერთხელ დაიბეჭდა მასალები პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის" ფარგლებში ჩატარებულ აქტივობებზე, რაც მოწმობს პროკურატურისა და გაზეთის თანამშრომლობას.

ვულოცავთ გაზეთს და მის ჟურნალისტებს საიუბილეო თარიღს, გაზეთი რომ დღემდე მოვიდა ნამდვილად არის მისი მუშაკების დამსახურება.

გილოცავთ და გისურვებთწარმატებებს.

სენაკის რაიონული პროკურატურა.

მთავარი მომავალშია

ასე ამბობენ... წარსულის გარეშე არც მომავალიაო. ჩემი „პატარა" საქაღალდე ლამაზ მოგონებებს ინახავს, მრავალთაგან ერთ-ერთი გაზეთ „კოლხეთის" რედაქციასთანაა კავშირში. დრო უცებ გასულა, წლებით დახუნძლული ტკბილმწარე ცხოვრება... და ეს საქაღალდე მაინც სიყვარულით, ბევრი სითბოთი და მოგონებებით არის სავსე...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ბოლო კურსის სტუდენტი 1975 წელს საწარმოო პარქტიკაზე სენაკის რაიონულ გაზეთში გამანაწილეს. თვალწინ მიდგას ის პირველი დღეები. ბატონი ბორის შენგელია კეთილშობილი, პატიოსნებით გასხივოსნებული, გაზეთის რედაქტორი გახლდათ. აქ მოღვაწეობდნენ იონა (ჟორა) გვასალია. ანდრო ეჯიბია, გოგოლა მზარელუა, ბატონი გურამ გიგიბერია სტამბის დირექტორი გახლდათ. დღეს ამ პატარა საგაზეთო წერილში არც იმის საჭიროებაა მოვუყვეთ მკითხველს, როგორი წვალებით გამოდიოდა გაზეთი (პოლიგრაფიული დაბალი დონის გამო) და არც ადგილი, მაგრამ, უმადურობა იქნებოდა არ გამეხსენებინა ის სიობო, სიყვარული, პასუხისმგებლობა, სიტყვასთან ჭიდილის დიდი ნებისყოფა და სიძლიერე საგზლად რომ გამომაყოლეს ამ ადამიანებმა. დიდება მათ სულებს. მასწავლეს, როგორ უნდა იმუშაო საკუთარ თავზე, როგორ მოეფერო თითეულ სიტყვას, როგორ ჩაუდგა სული და გახადო იგი საზოგადოებისთვის ახლობელი.

მინდა გულში ჩავიხუტო მრავალჭირგამოვლილი, მაგრამ გაუტეხელი, თავაწეულად წინმავალი გაზეთი, მოვეფერო და მივულოცო იუბილე, დავულოცო სარედაქციო კოლეგია, თითოეული მათგანი გავამხნევო, რადგან დიდ საქმეს შეჭიდებულთ მუდამ სჭირდებათ მხარდაჭერა. ადგილობრივი გაზეთი მუნიციპალიტეტის სახეა და მისი წარმოჩენა არც ისე ადვილი საქმეა.

არ მოგკლებოდეთ მკითხველი და თქვენი სიცოცხლის გამახანგრძლივებელი საზოგადოება. სიმართლით და სიყვარულით გევლოთ აწ გასავლელ გზაზე. გჯეროდეთ, მთავარი მომავალშია.

მინდა კიდევ ერთხელ „კოლხეთს" ვუთხრა: შესანიშნავად გამოიყურებით, ფეხს უწყობთ თანამედროვეობას, წლებმა ვერაფერი დაგაკლოთ, პირიქით, გაგზარდათ და დაგაბრძენათ...

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხობის მოამბე", მისი სარედაქციო კოლეგია გულწრფელი საუკეთესო სურვილებით კიდევ ერთხელ გილოცავთ!

მრავალჟამიერ თქვენი სიტყვის ძალა, სიმართლის მსახურად იყავით დიდხანს.

მერი ლაგვილავა,
გაზეთი „ხობის მოამბე".

მთავარი პრინციპემია

„კოლხეთი"-ს რედაქციას ვულოცავ გაზეთის 95 წლის იუბილეს. მრავალი წლის განმავლობაში იარსებო, ეს არის დაუღალავი შრომის შედეგი. მთავარია შეძლოთ მოსახლეობისთვის მრავალფეროვანი და სწორი ინფორმაციის მიწოდება. მინდა გისურვოთ მკითხველის სიმრავლე. მუდამ გეხელმძღვანელოთ ჟურნალისტიკის მთავარი პრინციპებით - ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით, რაც საზოგადოების ნდობას გამოიწვევს თქვენი გაზეთის მიმართ.

ლაშა კუჭავა,
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის"
თავმჯდომარე

როგორც რელიქვია....

გაზეთი „კოლხეთი" ჩვენი ცხოვრების ნამდვილი მემატიანეა.

უამრავი ძველი ნომერი, რომელშიც მამის, როგორც სოფლის მაშინდელი თავკაცის და გაზეთის კორესპონდენტის, ასევე პირადად ჩემი წერილები და კორესპონდენციებია გამოქვეყნებული, დღესაც შემონახული მაქვს, როგორც რელიქვია.

სიამაყით ვიხსენებ წინა თაობის ღვაწლმოსილი ჟურნალისტების: ბატონების ბორის შენგელიას, ილო წირდვავას, სოლომონ კუჭავას, გალაქტიონ რობაქიძის, ანდრო ეჯიბიას, კარლო ტაბაღუას, იონა გვასალიას, ბორის მილიუტინის, ქალბატონების: გოგოლა მზარელუას, იზოლდა ჩვამანიას, სულმნათი – თამაზ კანკიას მოღვაწეობას „კოლხეთში". ბევრი სასარგებლო რჩევა-დარიგება მიმიღია მათგან. მოკრძალებით ვხრი თავს მათი ხსოვნის წინაშე.

მინდა მივესიყვარულო და პატივი მივაგო ნიჭიერ ჟურნალისტებს: ბატონ – რევაზ ჯანჯღავას, ბატონ რევაზ გრიგოლავას, ქალბატონ ნანა ფაჩულიას, ფოტოკორესონდენტ შოთა ხარებავას, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით თვალსაჩინო წარმატებები შემატეს გაზეთს.

მკითხველთა მოწონებასა და აღიარებას იმსახურებენ გაზეთში მომუშავე პროფესიონალი ჟურნალისტები და თანამშრომლები, ქალბატონები: ნინო სართანია, მედეა ბადათურია, მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე, ჟულიეტა ჩაჩიბაია, რომლებიც სახელოვნად აგრძელებენ გაზეთის საუკუნოვან ტრადიციას.

გაზეთისა და საერთოდ ჟურნალისტიკისადმი სიყვარულმა გადამაწყვეტინა დავუფლებოდი ფილოლოგისა და საზოგადოებრივი ჟურნალისტის სპეციალობას.

გაზეთ „კოლხეთში" ჩემი ავტორობით გამოქვეყნებული წერილებით გამიცნო მაშინდელმა საზოგადოებამ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ყოველივე ამან გარკვეული როლი ითამაშა ჩემს კარიერულ წინსვლაში.

სტუდენტობის წლებში და შემდეგ აქტიურად ვთანამშრომლობდი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. ვიყავი რესპუბლიკური ახალგაზრდული გაზეთის კორესპონდენტი, საქართველოს წითელი ჯვრის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის საინფორმაციო სამსახურის კოორდინატორი.

...და ყოველივე ამას ვუმადლი გაზეთ „კოლხეთს" და მის შემოქმედებით კოლექტივს, რომელთაც სულით და გულით ვულოცავ 95 წლის იუბილეს, ვუსურვებ წარმატებებსა და აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას.

იზარდი ფოფონავა

"ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს"

აზრთა მიდენ-მოდენას გონებაში გაცხადებული კადრები არღვევს. პატარა გოგო ასკინკილით დარბის და გაზეთებს აფრიალებს.სკოლის ასაკში მამის მოტანილ ჟურნალ-გაზეთებში იჩხრიკება და სათავისოს ეძებს, საბავშვო რედაქციებშიც აგზავნის რაღაც-რაღაცეებს. სტუდენტობის ჟამს მშობლიურ გაზეთში გამოქვეყნებულ კორესპონდენციებს რესპუბლიკურ პრესაში დაბეჭდილს უმატებს.ზაფხულის პრაქტიკებზე პერიოდულად ხან რაჭაშია, ხან ზესტაფონში, ხან აფხაზეთში, ხან თბილისში,გამოცდილება გროვდება,სწავლაც სრულდება. ისევ მშობლიურ რედაქციის მისაღებში,შეხვედრა რედაქტორთან,ბრძანება დანიშვნაზე, პირველი სამუშაო დღე...

ეს პატარა გოგო ჩემი ბავშვობაა და ჟურნალისტური ცხოვრების დასაწყისი.აქ შევიგრძენი სადებავშეუმშრალი გაზეთის სურნელი,აქ გავხდი კორესპონდენტი, პასუხისმგებელი მდივანი, რედაქტორის მოადგილე, რედაქტორი...და ახლა ვზივარ და ვფიქრობ ამ ცოდვამადლიან წუთისოფელში საწყის-სასრულზე, არსებობის რაობაზე. და მე რა? თეკერიის თქმისა არ იყოს, ცხოვრება ხომ წეწვა-გლეჯვის ბაზარია,საცა ყველა თავ-თავისი ადლით ზომავს გაკეთებულს და გასაკეთებელს, განვლილ გზას, ცხოვრების წესს... „კოლხეთსაც" ამ „წეწვა-გლეჯვის" ბაზარში თავისი ნიშა ჰქონდა, სადაც 95წლის მანძილზე იცავდა და ნერგავდა მორალურ-ეთიკურ-ზნეობრივ ნორმებს,აღვიძებდა პატრიოტულ სულისკვეთებას,ახალგაზრდებს უღვივებდა ცოდნის წყურვილს, ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაციას უწყობდა ხელს, მოსურნე იყო შენების, განვითარების, 95წელი მხოლოდ და მხოლოდ სენაკზე ფიქრსა და ზრუნვაში უთენდებოდა და უდამდებოდა. „კოლხეთის" გვერდის ავლით სენაკის ისტორია ვერ იქნება სრულყოფილი,რადგანაც მისხალ-მისხალ მხოლოდ მის ნომრებშია კონკრეტული ფაქტები და ინფორმაციები შემონახული. ამიტომ თუ რას წარმოადგენდა გაზეთი „კოლხეთი", რა მიმართულების იყო,რა ადგილი ეკავა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ასე შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა იმ პერიოდის მაჯისცემის ცოდნის, გაზეთის შესწავლა-შეცნობის გარეშე წარმოუდგენელია, რაც ვრცელი თემაა საგაზეთო წერილისთვის. ამჯერად მხოლოდ შეგვიძლია ის ვთქვათ, რომ „კოლხეთი" გამოდიოდა დიდი ტირაჟით, ჰქონდა სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე საუკეთესო პოლიგრაფიული სახლი(ოფსეტური ბეჭდვით). ისტორიის მსვლელობის კვალდაკვალ ხვეწდა სტილს, გემოვნებას, მიმართულებას, მრწამს . არსებობის მანძილზე ბედუკუღმართობაც ჰქონია, სამოქალაქო ომის დროს დაიწვა სრულიად... მიუხედავად ყველაფრისა „კოლხეთი" კვლავ მწყობრშია და ასე ხვდება 95 წლისთავს.

ორი სიტყვა კოლხეთის შემოქმედებით კოლექტივზეც, რომელიც ყოველ დროში გამორჩეული ჰყოლია. ახალგაზრდობაში თუ რამეს მივაღწევთ საკუთარი ნიჭის და ცოდნის ნაყოფად აღვიქვამთ, მერე და მერე ვრწმუნდებით, რომ წარუმატებლობა ჩვენი გამოუცდელობის ნაყოფია, წარმატებაში კი ხშირად არის ვინმეს წვლილი, ადამიანისა რომელიც იმ მომენტში შენს გვერდით აღმოჩნდა და შეგაგულიანა, საკუთარ ძალაში დაგარწმუნა. ასეთი ადამიანები ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის დასაწყისში იყვნენ: თამაზ კანკია, ბორის შენგელია, გოგოლა მზარელუა, გურამ გიგიბერია და ასე შემდეგ. უფრო ადრე სხვა თაობისთვის: ილო წირღვავა,მორდეხ გაგულაშვილი, სოლომონ კუჭავა, მამანტი ქვარცხავა, გალაქტიონ რობაქიძე...

სულ გვგონია, რომ ასეთი ადამიანებისთვის მადლობის გადახდას ყოველთვის მოახერხებ, იმ ლამაზ გულწრფელ სიტყვებს მოძებნი მათ პიროვნებას რომ შეესატყვისება და მოეფერები, მაგრამ ?...

დღეს ისინი და სხვა მრავალი(ტექნიკური და შემოქმედებითი პერსონალი) ზეციური სამყაროს ბინადრები არიან. ქედს ვიხრი მათი სულების წინაშე დაუღალავი შრომისთვის, ქართული სიტყვის მსახურებისთვის, ადამიანური ფასეულობებითა და ღირებულებებით ცხოვრებისთის, ახალგაზრდობის სიყვარულისთვის, დაკვალიანებისთვის, შემოქმედებითი საქმიანობისთვის, კოლხეთელობისთვის...ია და ვარდი მათ საფლავებს...

ყურთასმენას ისევ სწვდება პატარა გოგოს ხმა: „პატივცემულო საზოგადოებავ,იყიდეთ ან გამოიწერეთ სენაკის ერთადერთი საუნჯე,მისი ისტორიის ზედმიწევნით მცოდნე გაზეთი". ეს გოგო ჩემი პატარა მეა, ხოლო მისი სიტყვები ჩვენი სურვილი, საზოგადოებამ იცოდეს თუ რაოდენ უნიკალური და საჭიროა მუნიციპალიტეტისთვის გაზეთი(წარსულითაც და აწმყოთითაც).

„ხვალე დღევანდელს უნდა ჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში"-ილია ჭავჭავაძე. ჩვენს საყვარელ გაზეთსაც ამას ვუსურვებთ.

ნინო სართანია

დრომ უკეთესად თქვა...

ნანა ფაჩულიას ჟურნალისტური ბიოგრაფიის პირველი ფურცელი გაზეთ „კოლხეთის" რედაქციაში შეივსო. ლამაზი, ხატოვანი ენით დაწერილი კორესპონდენციები მკითხველის ყურადღებას იპყრობდა. ნანა ფაჩულია სხვადასხვა წლებში მუშაობდა სენაკის რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ, საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურული განყოფილების პირველი არხის რედაქტორად. არაერთი საინტერესო გადაცემა მოამზადა ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებზე.

ქალბატონი ნანა მკითხველს თავაზობს საინტერესო მოგონებას რედაქციაში მუშაობის წლებიდან

ახლო ადამიანებმა ჩათვალეს, რამეს ვარგებდი „კოლხეთს" და თანამშრომლობა შემომთავაზეს.

80-იანი წლები იდგა. იყო საბჭოთა სისტემა და მეც ვწერდი ეპოქის შესაბამისად...

ვისაც ეროვნული მოძრაობის პერიოდი-1988-91 – წლები არ დავიწყნია, ახსოვს ალბათ, რა სიხარულით შევხვდით ერის გამოღვიძებას. დაიყო ქვეყანა „ფორმალებად" და „არაფორმალებად".

იმ პერიოდში, გაზეთს ქალაქის ერთ-ერთი კოლორიტული პიროვნება, ნიჭიერი კაცი ედგა სათავეში. თუკი „კოლხეთი"", იმ დროს, საინტერესო გაზეთად ითვლებოდა, თამაზ კანკიას დამსახურებაც იყო.

ჩვენმა გაზეთმა უარი უთხრა ლოგოს: „პროლეტარებო,ყველა ქვეყნისა,შეერთდით! მისი ადგილი დაიკავა, აკაკი წერეთლის უმშვენიერესმა სიტყვებმა: -„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო"

-თუკი სიმები ჩვენ ვართ ყველანი,ჩვენ რატომ არ გვეთქმის სათქმელი და ზოგმა თქვა კიდეც: - 9 აპრილს დაღუპულები „ექსტრემისტები" და ქვეყნის დამაქცევარნი არიანო.

„არაფორმალები" კი ყოველდღე,ყოველ წუთს გვასწავლიდნენ,დაკლებულ წლებს გვინაზღაურებდნენ, ჩვენი ისტორიის მასწავლებლის სანაცვლოს ასრულებდნენ.

„კოლხეთში". მათთვის, ვისაც ჰაერივით სჭირდებოდა „სხვა საქართველო", იბეჭდებოდა ინფორმაციები ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას სენაკში ჩამოსვლაზე, ასობით მომიტინგეებზე, რომელსაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ვერ იტევდა.

იმ დროს სენაკის ეროვნული მოძრაობის გამორჩეული სახე, ნანი ყიფიანი დაუფარავად ამბობდა:-„ზვიადისტი ვარ!"-ანუ ეროვნული.

მაშინ, როდესაც ერთ- ერთი „ფორმალი" თავის აზრს ასე გამოხატავდა:- ეროვნული მოძრაობა. მემარცხენეობის საყმაწვილო სენია და მას მალე მოიხდის საქართველო...

დრომ უკეთესად თქვა: ეროვნული მოძრაობის ორი ლიდერი: ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ქართველმა ხალხმა მთაწმინდას მიაბარა. მეამაყება, რომ ვიდექი „იქ", სადაც უნდა ვმდგარიყავი,ვწერდი იმაზე,რაზედაც უნდა მეწერა,ანუ ვიყავი „არაფორმალი".

ძნელია, ლამაზად ცხოვრება, მაგრამ შესაძლებელია... მე და ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა ლამაზად ვიცხოვრეთ იმ წლებში,იმ დღეებშიც კი,როდესაც სენაკში მოთარეშე „დამსჯელმა რაზმმა", ისე დააშინა მოსახლეობა,დედა შვილს ზვიადს ვერ ეძახდა...

კიდევ ერთი ლამაზი დღე მახსოვს... პირველად „კოლხეთში" დაიბეჭდა დღეს უკვე ყველასათვის ცნობილი პოეტის,ტერენტი ყიფიანის ლექსები,რომლებმაც სიხარული და გაოცება მოუტანა ყველას,ვისთვისაც ძვირფასია : სამშობლო,თავისუფლება და ლექსი...

ნანა ფაჩულია

შეხვედრა მკითხველებთან

„კოლხეთის ჟურნალისტები

გამოცდილება და პასუხისმგებლობა

რამდენიმე ათეული წლის მეგობრობა მაკავშირებს „კოლხეთთან". მას არაერთხელ დაუბეჭდავს ჩემი ლექსები, შეუფასებია ჩემი შემოქმედება.

საიუბილეო თარიღი იმ წლების ერთობლიობაა, რომელსაც გამოცდილებაც მოაქვს და პასუხისმგებლობაც. „კოლხეთს" არც ერთი აკლია და არც მეორე.

„კოლხეთს" და მის თანამშრომლებს,ვულოცავ 95 წლის იუბილეს,ვუსურვებ მკითხველთა სიმრავლეს, დღგრძელობას და წარმატებულ დღეებს.

გული კირცხალია

კეთილ მაცნედ

უგულითადესად გილოცავთ საიუბილეო თარიღს,გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლიდან 95 წლისთავს, გინატრით მყარ ჯანმრთელობას უშრეტ ენერგიას.

დაე! კვლავაც გისურვებთ შემართებით შემოქმედებით მუშაობას. უთვალავ წელს იყოს კეთილ მაცნედ, თქვენს მიერ გამოშვებული გაზეთის თითოეული ნომერი.

კეთილი სურვილებით ნელი ჯანჯღავა

დროთა სრბოლაში შექმნილი მატიანე

ვლადიმერ (ილო) წირღვავა 40 წელზე მეტი მოღვაწეობდა პრესაში. იყო სენაკის რაიონული გაზეთ „ავანგარდის“ რედაქტორი. ასევე თანამშრომლობდა რესპუბლიკურ გაზეთებში: „კომუნისტი“, ახალგაზრდა კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „ლიტერატურული საქართველო“, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ და სხვა. მისი კორესპონდენციები, ნარკვევები, მხატვრული ნაწარმოებები, რეცენზიები მრავალჯერ დაიბეჭდა აღნიშნული გაზეთების ფურცლებზე, მისი კალმის ნახელავი არაერთხელ გადაუციათ საქართველოს რადიოთი.

ილოს ჰქონდა პრესის მუშაკისათვის ეგზომ საჭირო უნარი – ჩახედული ყოფილიყო ადამიანის შინაგან სამყაროში. მის სახელთან იყო დაკავშირებული არაერთი ახალგაზრდა ჟურნალისტის გამოვლინება, აღზრდა და სწორ გზაზე დაყენება.

რაიონში კულტურული ღონისძიება არ ჩატარდებოდა ილო წირღვავას თაოსნობისა და აქტიური მონაწილეობის გარეშე. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ქართველ მწერლებთან, მხატვრებთან, თეატრალურ მოღვაწეებთან, მეცნიერებთან, ჟურნალისტებთან.

აკადემისკოსმა ანდრია აფაქიძემ, მწერალმა ალეკო შენგელიამ, 1971 წლის 4 ივნისს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნეს წერილი სათაურით “ამაგდარი“, რომელიც მიეძღვნა ვლადიმერ (ილო) წირღვავას 60 წლის საიუბილეო თარიღს, რომელშიც მას „ქართული ჟურნალისტიკის ერთგული ჯარისკაცი“ უწოდეს. წერილში ვკითხულობთ: „ამ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე რომელიმე ქართველ მწერალსა და ხელოვანს თუ ცხაკაიისკენ ჩაუვლია... ძვირფასი ილოს უნახავად წამოსვლა გასძნელებიათ... ილოს ოჯახი მდიდარია მასპინძლისადმი მოწერილი გალაკტიონის, ი. გრიშაშვილის, ვ. ანჯაფარიძის, ა. მირცხულავას, ვ. გაბისკირიას, ა. კორნეიჩუკის, ა. ტოჩინის, ო. გონჩარის და სხვა სახელოვანი ადამიანების ბარათებით... მადლობას უძღვნიან ილოს ცხაკაიაში გატარებული შესანიშნავი ლიტერატურული საღამოებისათვის. მის მიერ სარაიონო გაზეთში მომზადებული სპეციალური გვერდებისათვის, მის ოჯახში გატარებული საათებისათვის.

ჟურნალისტი გიორგი გვაზავა, გაზეთ „სენაკის უწყებანის“ ილო წირღვავასადმი მიძღვნილ ერთერთ წერილში სათაურით - „კვალი ნათელი“ , იხსენებდა -- „ილოს გვერდით მინახავს კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ხორავა, ალეკო შენგელია, ვლადიმერ თორდუა, ვარლამ ჟურული, რობერტ სტურუა (მამა), ბორის ყურაშვილი, ვახტანგ კალანდარიშვილი, სხვანი და სხვანი, ბევრთან პირადი ურთიერთობა აკავშირებდა.

მწერალ ვლადიმერ თორდუას ჩემთვის უთქვამს – საოცარი კაცია ეს ვლადიმერი (ილო), ჟურნალისტიც ასეთი ალღოიანი და კეთილსინდისიერი უნდაო. როდესაც იგი ჩამოდიდოდა სენაკში, პირველად რედაქციას ეწვეოდა, ვამჩნევდი, შეხვედრით ორივენი ერთნაირად ხარობდნენ”...

მოუსვენარი კაცი იყო, მუდამ სიახლეთა მაძიებელი, ეს მის გაზეთსაც ნათლად ეტყობოდა, თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი, უქიშპო და სიკეთის მრჩეველი თუ იყო „ავანგარდი“ ეს უპირველესად მისი ჭკვიანი პატიოსანი და სულგრძელი რედაქტორობის დამსახურება გახლდათ. ძველ თაობასთან ერთად რედაქციის კარებს ფართოდ უღებდა ნიჭიერ, შემოქმედ

გალაკტიონი სენაკელ მოსწავლეებთან

ახალგაზრდობას, ყველას დააკვალიანებდა, დაწინაურებაშიც კეთილ სიტყვას შეაწევდა.“

ვლადიმერ (ილო) წირღვავას საოჯახო არქივმა შემოგვინახა პოეტებთან გ. ტაბიძესთან, ი. გრიშაშვილთან, ი.ნონეშვილთან, და სხვა სახელოვან ადამიანებთან გადაღებული ფოტოები. ასევე ი. გრიშაშვილის საავტორო წიგნი ავტორის წარწერით საჩუქრად მიძღვნილი ილოს ქალიშვილისადმი – მედეა წირღვავასადმი.

ვლადიმერ წირღვავას სიცოცხლე მის სახელოვან შთამომავლებში გრძელდება. შვილი მედეა წირღვავა, შვილიშვილები ადილარ და ვლადიმერ წირღვავები, გიორგი და მაგდა გარუჩავები, შვილთაშვილები უკვდავყოფენ სახელოვანი წინაპრის სახელს.

გაზეთ „კოლხეთის” ამჟამინდელი თაობისათვის მართლაც რომ რელიქვიაა ილო წირღვავას არქივში დაცული, დროთა სრბოლაში შექმნილი მატიანე, რომელიც ქალბატონმა მედეა წირღვავამ მოგვაწოდა

მ. შონია

გალაკტიონ ტაბიძე „ავანგარდის» რედაქტორის ილო წირღვავას შვილებთან მედეასთან და აჩიკოსთან

პოეტები იოსებ ნონეშვილი, ჯემალ აჯიაშვილი , რედაქტორი ილო წირღვავა სტამბის წინ

იოსებ გრიშაშვილი სტუმრად რედაქციაში

ძველის ყირთგულესი მსახური

ჩემს საყვარელ მშობლიურ გაზეთს ვულოცავ სოლიდურ თარიღს – 95 წლის იუბილეს!

1923 წლიდან რამდენი განცდის, სიახლის, გაჭირვების, ლხინის, შრომითი, მეცნიერების, ხელოვნების და პოლიტიკური მიღწევების სურათ-ინფორმაციებით აღვსილა თქვენი კეთილშობილი და დემოკრატიული გაზეთის გვერდები. თქვენ იწყებდით მოღვაწეობას იქიდან, რა დროსაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული ეროვნული გლოვა არ იყო შენელებული; მოესწარით 1924 წლის ისტორიულ გამოსვლებსაც და მოზაიკური იყო თქვენი თემათა გაშუქებებიც, მაგრამ ინფორმაციებს ყველასგან თანაბრად იღებდით და სიმართლეს აუწყებდით ქვეყანას. თქვენ პირწმინდად ტოლერანტული და ეროვნული ბრძანდებით, მაგრამ, პრესის სპეციფიკიდან გამომდინარე, ორგულთა წერილებიც უნდა გაგეშუქებინათ. როგორი ისტორიული პერიოდები არ გამოიარეთ და ქვეყანას შერჩით, როგორც უერთგულესი მსახური. შინაგანად ცოტნე დადიანისეული ზნეობისა ბრძანდებით, მაგრამ უცნაური მოვალეობა გაკისრიათ, რომლის ბოლომდე ახსნა მაინც შეუძლებელია, რადგან საქართველოს მტერ-მოყვარესთან ერთად წარსულის, აწმყოსა და მომავლის ისტორიული ხილული თუ უხილავი დრო და სივრცეა თქვენში ჩახვეული.

სიყვარულით,
თქვენი რეზო ადამია

თვითმყოფადობა შეინარჩუნა

გულითადი მილოცვა და მადლობა, გაზეთ „კოლხეთის” რედაქციას გაწეული ღვაწლისთვის, რომლითაც ის აქტიურად გამოირჩეოდა, როგორც ქ.სენაკში ასევე რეგიონში, ქვეყნის აღმშენებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრივი აზრის გატარებისთვის. მიუხედავად ათასი კატაკლიზმებისა და წინააღმდეგობისა გაზეთმა შეძლო თვითმყოფადობის შენარჩუნება და ყოფილიყო სენაკელებისა და ქართული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების გამტარებელი... მადლობა. მინდა ვუთხრა ყველა სენაკელს, სენაკის მუნიციპალიტეტს, რომ მძიმე პერიოდში შეძლეს დახმარებოდნენ რაიონულ გაზეთს, რომელსაც 2018 წლი 1 მაისს უსრულდება დაარსებიდან 95 წელი. ის არის რეგიონში, ყველაზე უხუცესი გაზეთი. მადლობა გაზეთ „კოლხეთის” რედაქციის შემოქმედებით ჯგუფს: ნინო სართანიას, მედეა ბაღათურიას, მაია გერგაიას, მარიკა მიქაბერიძეს და ჟულიეტა ჩაჩიბაიას. კიდევ დიდხანს გეღვაწოთ ქ. სენაკის, ქართული საზოგადოების სახელმწიფოს, თავისუფალი აზრის ეროვნული ინტერესების გამტარებლად. წარმატებებს გისურვებთ ახალ შემოქმედებითი სიმაღლეების დასაპყრობად!

კახა კვირკველია,
თბილისი

გილოცავთ კოლეგებო!

„კოლხეთელებს” ვულოცავ გამოცემიდან 95-ე წლისთავს. ეს უხუცესი გაზეთი 1923 წლის მაისის თვიდან გამოდის. გაზეთში მუშაობდნენ უნიჭიერესი ჟურნალისტები და რედაქტორები; ილო წირღვავა, ბორის შენგელია, რეზო ჯანჯღავა, თამაზ კანკია, რეზო გრიგოლავა, კარლო ტაბაღუა, სოლომონ კუჭავა, გოგოლა მზარელუა, ნინო სართანია, მედეა ბაღათურია... ისინი იცავდნენ და იცავენ ჟურნალისტურ ეთიკას, ტრადიციას. მეამაყება რომ ისინი ჩემი კოლეგები არიან, ასე მუხლჩაუხრელად და თავდაუზოგავად მოიტანეს მათ ეს კოლხური მატიანე დღემდე. რისთვისაც მათ მადლობა ეკუთვნით. „კოლხეთის” ფურცლებზე ამ ჟამთა აღრიცხვაში ინახება ღვთიური ცოდნა, გამოცდილება და ღირსება, რაც მის მკითხველებს ეხმარებათ სრული ინფორმაციის წვდომაში.

მთელი გულითა და სულით ვულოცავ „კოლხეთელებს” ამ უდიდეს თარიღს, ვუსურვებ მკითხველთა სიმრავლეს, ინფორმაციის გადმოცემას უშურველად და სამართლიანად. მზის სინათლეზე გამოეტანოთ ყოველთვის მართალი ადამიანის სიტყვა და სატკივარი, რათა მკითხველებს არ ჰქონდეთ ინფორმაციის ვაკუუმი. ბედნიერება წონასწორობაშია და ამას ვუსურვებ „კოლხეთელებს” და მათ მკითხველებს.

პატივისცემით ლანდა მასხულია,
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი, ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, სამხარეო გაზეთ „თავისუფლების მრწამსის” მთავარი რედაქტორი, სამოდელო –სააგენტო „გოლდენ-ბრენდისა” და „გოდიარტ ჯორჯიას” გენერალური დირექტორი

წინსვლა გქონდეთ!

გილოცავთ იუბილეს, წარმატებები და პროფესიული წინსვლა გქონოდეთ.

95 წელი გაუძლო დროის ცვალებადობას, შეეჭიდო ეპოქალურ სირთულებს, მოეფერო მშობლიური კუთხის მოსახლეობას, ადვილი არ არის.

მასმედიის დანიშნულება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლაა. ჩვენი ურთიერთობა სწორედ ამაზეა აგებული.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ.

სენაკის დამოუკიდებელი
ტელეკომპანია „ებრისი”

„ეს ქით უფრო კარგია და ღელვრძელი“

სენაკი დედამიწის ზურგზე საუკეთესო ქალაქია

ნომრის სტუმარია სენაკის მუნიციპალიტეტისა და აბაშის მუნიციპალიტეტის (წყემის, ნორიოს, ზანათის) თემების მაჟორიტარი დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის წევრი, ბატონი ირაკლი ბერაია.

ბატონო ირაკლი, მკითხველისათვის უდაოდ საინტერესოა თქვენეული შეფასება, როგორი იყო სენაკი ადრეულ წლებში და როგორია ახლა.

აქ ალბათ, სუბიექტური ვიქნები. სენაკი ჩემთვის მხოლოდ ქალაქი არ არის... დედამიწის ზურგზე საუკეთესო ადგილია, სადაც ყოფნა ყველაზე სასიამოვნო განცდებს მიქმნის. რატომ და როგორ, ამის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვცდილობ, მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, მეტი დრო აქ გავატარო.

საქართველოს ბევრი მძიმე დღე უნახავს. შესაბამისად, არც ჩვენი ქალაქი იყო გამონაკლისი. მახსოვს, სკოლის პერიოდი, როდესაც სენაკი რეგიონის განსაკუთრებული და სიცოცხლით სავსე ქალაქი იყო, გამორჩეული ინტელიგენციით, ზოგადად საზოგადოებით, შესანიშნავი ლანდშაფტით და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სხვა მრავალი თავისებურებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ სხვა პერიოდი იყო. ჩაკეტილ სახელმწიფოში, თავს მოხვეული იდეოლოგიის პირობებში ვცხოვრობდით და იმდროინდელი წყობილების მიერ ხელოვნურად შექმნილი გარემოებების, განვითარებისა და თვითრეალიზაციის შეზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინებით გვიხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება და "საუკეთესოს" ძიება. ამას მოჰყვა სამოქალაქო ომი, ტერიტორიების დაკარგვა, ეკონომიკურად და სოციალურად უმძიმესი წლები, კრიმინალი და ყველა ეს პრობლემა სენაკზეც მძიმედ აისახა. მიუხედავად ამ ეგზისტენციალური ხასიათის პრობლემებისა, სენაკმა თავისი ხიბლი მაინც შეინარჩუნა და ყველა გამოწვევას ღირსეულად გაუმკლავდა.

დღეს სენაკი დემოკრატიული და სწრაფად განვითარებადი საქართველოს კვლავ გამორჩეული ქალაქია, განვითარების უზარმაზარი პოტენციალით ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით. ყველა ამ მიმართულებით გვაქვს მნიშვნელოვანი პროგრესი. თუმცა, ამ პოტენციალის სრული რეალიზებისთვის დიდი შრომა და მონდომებაა საჭირო და ამ მიმართულებით ყველა სენაკელმა ერთად უნდა ვიმუშავოთ. სენაკი დღეს აბსოლუტურად განსხვავებულია. გვყავს არაჩვეულებრივი ახალგაზრდობა, გონებაგახსნილი, პროგრესული, კრეატიული და სხვადასხვა სფეროში წარმატებული. მნიშვნელოვანია მათი აქტიური ჩართულობა განვითარების პროცესების ყველა ეტაპზე.

გთხოვთ გვესაუბროთ იმ მნიშვნელოვან პროექტებზე, რომელიც მუნიციპალიტეტში განხორციელდა თქვენი მხარდაჭერით და უშუალო მონაწილეობით, თქვენი საარჩევნო პროგრამიდან – რა საკითხის მოგვარება შეძელით და რა გაქვთ დაგეგმილი სადეპუტატო პერიოდში?

ზოგადად, ძალიან დიდია კონკრეტული პროექტების მნიშვნელობა ჩვენი მუნიციპალტეტის მდგრად განვითარებაში. მთავარია პროექტები პრიორიტეტების შესაბამისად დაიგეგმოს და განხორციელდეს. მიმდინარეობს საგზაო, წყალმომარაგების, სპორტული, ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. განსაკუთრებით გამოვყოფდი მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიცირების, იუსტიციის სახლის მშენებლობისა და სენაკის რკინიგზის სადგურის რეაბილიტაციის საკითხებს. ეს ის წარმატებული პროექტებია, რომელთა "წამოღებაც" სენაკში დიდი შრომის შედეგად გახდა შესაძლებელი, რაშიც მოკრძალებული წვლილი მეც მიმიძღვის. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ამ პროექტების სენაკში განხორციელების არგუმენტები მიზანშეწონილად და დამაჯერებლად მიიჩნია და სენაკელების მიმართ მხარდაჭერა გამოხატა.

აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ორი, სამი, თუნდაც ათი პროექტი მუნიციპალიტეტისთვის საკმარისი არ არის. აუცილებელია ბევრად მეტი და სხვადასხვა მიმართულებით. პროექტი თავისთავში მიზანი არ უნდა იყოს. წარმატებული პროექტები მხოლოდ ინსტრუმენტებია სასურველი მიზნისა და შედეგის მისაღწევად.

პრიორიტეტულად მიმაჩნია ნოქალაქევის ნაქალაქარის გარშემო ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. კერძოდ, სასტუმროების მშენებლობა, მდინარე ტეხურის ხეობაში კანიონის განვითარება, საფეხმავლო და ველობილიკების, ე.წ.ზიპლაინების, სხვა გასართობი ინფრასტრუქტურის მოწყობა. ამ საკითხთან დაკავშირებით მქონდა არაერთი შეხვედრა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში. ჩემი ხედვები არჩევის პირველივე დღიდან გავუზიარე სენაკის ახალ მერსაც. უახლოეს დღეებში, დაგეგმარების მიზნით, ვგეგმავთ კონკრეტული სამუშაოების ჩატარებას. ჩვენი მუნიციპალიტეტი ცნობილია არაერთი ისტორიული ძეგლით, კარსტული მღვიმეებით ექსტრემალური და სპელეოლოგიური ტურიზმისთვის. ვაპირებთ მოვაწყოთ მათთან მისასვლელი ინფრასტრუქტურაც და გადავდგათ კონკრეტული ნაბიჯები მათი ეფექტიანი ოპერირების მიზნით. ამ კუთხით ვგეგმავთ საერთაშორისო რესურსების ჩართვასაც. მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ მენჯის ბალნეოლოგიური პონტენციალი, რაც სენაკს მის ისტორიულ დატვირთვას დაუბრუნებს.

მთავარ საზრუნავად კვლავ რჩება მუნიციპალიტეტში კერძო უცხოური და ასევე ეროვნული ინვესტიციების მოზიდვა, საგზაო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, გაზიფიცირებისა და წყალმომარაგების სამუშაოების განხორციელება, სოფლის მეურნეობის განვითარება და სხვა.

ბატონო ირაკლი, რა განსხვავებას ხედავთ, ონლაინ საშუალებებს, ცენტრალურ და რეგიონალურ ბეჭდვით მედიას შორის?

განსხვავება უდაოდ დიდია. მედიის ექსპერტი მე არ ვარ, რომ ყველა განსხვავება ჩამოვთვალო. მინდა ერთი მსგავსება გითხრათ. ტერმინი "ბეჭდვითი მედია"თანდათან თავის გამოყენებას კარგავს. თბილისში და სხვა დიდ ქალაქებში ინფორმაცია ბეჭდვითი ფორმიდან ელექტრონულ სივრცეში ინაცვლებს და სულ უფრო ნაკლები გაზეთი იბეჭდება და იყიდება. ყველაფერი სულ უფრო დიგიტალიზირებული ხდება. მკითხველთა უმრავლესობაც ინფორმაციის მიღებას უფრო „პლანშეტებისა“ და თუ "სმარტფონების" საშუალებით ამჯობინებს. საზოგადოებას მუდმივად სჭირდება უახლეს ინფორმაციაზე წვდომა, სხვადასხვა გადაწყვეტილებების, თუნდაც ამა თუ იმ საკითხზე ინ-

ფორმირებულობის მიზნით. ელექტრონული მედიის უპირატესობა ის არის, რომ აქ ინფორმაცია მუდმივად, ყოველწუთიერ რეჟიმში შეიძლება განახლდეს. გაზეთი კი, თუნდაც ყველაზე ინტენსიურად გამოცემადი, გარკვეული დროის ინტერვალით იბეჭდება. თანაც არ გიწევს სახლიდან ან სამსახურიდან ფიზიკურად გასვლა და ყიდვა, როცა ინფორმაცია თავად მოდის მკითხველთან.

განსხვავებას რაც შეეხება, მთავარი განსხვავება – მაინც მასშტაბები და მკითხველთა რაოდენობაა.

გაზეთი „კოლხეთი “ იუბილარია, რას უსურვებთ რედაქციას და რას თვლით პრიორიტეტულ საკითხად, რომელზედაც ყურადღება უნდა გაამახვილოს რეგიონალურმა მედიამ?

"კოლხეთის" რედაქცია უდიდესი ტრადიციების მატარებელია. გისურვებთ ამ ტრადიციების გაგრძელებას, განვითარებას და პროგრესს. აუცილებელია, რედაქციამ მუდმივად განიცადოს ცვალებად საინფორმაციო გარემოსთან და საზოგადოების ცვალებად საინფორმაციო მოთხოვნებთან ადაპტაცია. მნიშვნელოვანია თანდათან განავითაროთ ელექტრონული საინფორმაციო რესურსი, შექმნათ ვებგვერდი, რაც ბევრად უფრო მეტი სენაკელისთვის (მათ შორის იმათვის, ვინც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ან საზღვარგარეთ ცხოვრობს) გახდის ხელმისაწვდომს თქვენს ინფორმაციას. წარმატების მთავარ წინაპირობად კი მიმაჩნია, რედაქციაში მუდმივად იყოს უფროსი თაობის ადამიანების გამოცდილებისა და ახალგაზრდა კადრების ახლებული ხედვის სინერგია.

მოამზადა მარიკა მიქაბერიძემ

ლიდერი ქალბატონები

წარმატების საიდუმლო – დროის სწორი გათვლაა

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს "მმართველობა განვითარებისთვის" პროექტის ფარგლებში ყოველწლიურად იმართება ქალთა კონფერენცია და სახელდებიან ლიდერი ქალები საჯარო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორიდან. 2018 წლის წარმატებულ ლიდერ ქალად დასახელდა ჩვენი თანაქალაქელი მარიამ ქუჩულორია.

ქალბატონმა მარიამმა დაამთავრა სენაკის პირველი სკოლა-გიმნაზია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ჯიპას საერთაშორისო სამართალის მაგისტრატურა. 10 წელი მუშაობდა იურისტად ბიზნეს სექტორში, მათ შორის საბანკო, სადაზღვევო, ენერგეტიკის, სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით. აქტიურად იყო ჩართული ბიზნესისთვის სასურველი კანონმდებლობის მიღების ადვოკატირების პროცესში. 2015 წელს დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია "კონკურენციის ცენტრი", რომლის მთავარი მიზანი იყო კონკურენციის ხელშეწყობა ქვეყანაში, მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება. ყველაზე საინტერესო გამოცდილება მარიამისთვის იყო ევროკავშირის პროექტზე "ისთ ინვესტში" მუშაობა. აღნიშნული პროექტი ხორციელდებოდა აღმოსავლეთ ევროპის ექვსივე ქვეყანაში და მიზნად ისახავდა ამ ქვეყნებში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით. პროექტის ფარგლებში მარიამი ასრულებდა ეროვნული ფასილიტატორის ფუნქციას საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის პროცესში და უწევდა ერთნაირი ურთიერთობა როგორც საჯარო ხელისუფლების, მთავრობის და პარლამენტის, ასევე ბიზნესის წარმომადგენლებთან არამარტო საქართველოში, არამედ აღმოსავლეთ პარტნიორობის და ევროკავშირის ქვეყნებში. სწორედ ეს პროექტი და ასევე სხვადასხვა ასოციაციებზე დაკვირვება გახდა მოტივაცია იმისა, რომ საქართველოში შექმნილ იყო ევროპული ტიპის და რეალურად ბიზნესზე ორიენტიერებული ახალი ასოციაცია-ევროპული ბიზნეს ასოციაცია, რომლის დაფუძნებაშიც აქტიური მონაწილეობა მარიკამ ქართველ და ევროპელ თანამოაზრეებთან ერთად.

რა არის ევროპული ბიზნეს-ასოციაციის მთავარი მიზანი? მარიამი გვპასუხობს -„ასოციაციის ერთერთი მთავარი მიზანია არის რეგიონების ხელშეწყობა, რადგან დღეს ბიზნესის უმეტესი წილი სწორედ საქართველოს დედაქალაქში, თბილისშია, თუმცა საქართველო მარტო თბილისი არ არის და გვსურს, რომ რეგიონები, და რა თქმა უნდა სენაკი, ეკონომიკურად განვითარდეს და გაძლიერდეს. ამისთვის კი ერთნაირად უნდა ვიმუშაოთ, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებმაც. მთავარია, ვიპოვოთ რა არის ჩვენი ქალაქის, სენაკის კონკურენტული უპირატესობა და მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ ქალაქის ამ მიმართულებით განვითარებას"

ადამიანს წარმატების მისაღწევად ბევრი ბრძოლა სჭირდება. მას არ უნდა შეეშინდეს წინააღმდეგობების. წინააღმდეგობა კარგიცაა, რადგან მისი გადალახვა გაძლიერებს, სწავლობ და ხდები უკეთესი." წარმატების მიღწევის 3 მნიშვნელოვანი "რეცეპტი" გაგვიმხილა ქალბატონმა მარიამმა:

„ძალიან უნდა გიყვარდეს ის საქმე, რასაც აკეთებ;

უნდა გჯეროდეს შენი იდეის წარმატების, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ყიდი პროდუქტს, უნდა გჯეროდეს რომ ეს პროდუქტი კარგია და მისი ყიდვა სხვა ადამიანებს ჭირდებათ.

აუცილებლად უნდა გყავდეს ის პირები, რომლებსაც ასევე სჯერა, შენი იდეის წარმატების. მიმაჩნია, რომ გუნდური მუშაობა და ბიზნეს-პარტნიორობა ბევრად უფრო დიდ წარმატებას მოიტანს, ვიდრე მარტო ყოფნა, რა თქმა უნდა, თუ პარტნიორი სწორად გყავს შერჩეული".

ამასთან ერთად თვლის, რომ მის წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით მშობლებს, ლეილა ცომაიას და რეზო ქუჩულორიას, რომლებმაც ასწავლეს ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავება.

განსაკუთრებული ადგილი მის მეხსიერებაში უჭირავს ბავშვობის ლამაზ მოგონებებს, მოსწავლეობისდროინდელ სენაკს- „ჩემი ბავშვობა იყო საკმაოდ მრავალფეროვანი: ერთი მხრივ, ძალიან მხიარული და უდარდელი, ცეკვა-სიმღერით გატარებული. მყავდა კარგი მეგობრები, რომელთანაც დღესაც ვმეგობრობ. თუმცა, მეორე მხრივ, საკმაოდ რთული პერიოდებიც იყო: ომი, ძარცვა, მხედრიონი, უშუქობა, უწყლობა, სიცივე, თვითგადარჩენისთვის ბრძოლა"

შრომისმოყვარე, ახალგაზრდა, წარმატებულმა მარიამ ქუჩულორიამ „დაამსხვრია" სტერეოტიპი — „ან ოჯახი, ან კარიერა". იგი ტყუპების, თეკლას და ნიკოლოზის დედაა და საკმაოდ კარგად უთავსებს ერთმანეთს ოჯახს და პროფესიულ საქმიანობას. „ვერ ვიტყვი, რომ მარტივია ოჯახის და პროფესიული საქმიანობის ერთმანეთთან შეთავსება, -ამბობს იგი,-თუმცა როცა არჩევანია გასაკეთებელი, რა თქმა უნდა ოჯახს ვანიჭებ უპირატესობას და ამისთვის არავის წინაშე არ მიწევს ბოდიშის მოხდა. საბედნიეროდ, ვმუშაობ ისეთ ადამიანებთან, რომელთათვისაც ასევე ოჯახი მთავარი ღირებულებაა და ამით ერთმანეთისაც ძალიან კარგად გვესმის. და, ბოლოს — „დედობა ხომ ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაა და, ამავდროულად — ბედნიერება. წარმატების საიდუმლო კი დაუღალავი შრომა, მიზანდასახულობა და დროის სწორად გათვლაა"!

მარიამისთვის საუკეთესო განტვირთვა და თავისუფალი დროის გატარების ყველაზე სასურველი ვარიანტი არის სხვადასხვა ფიზიკური აქტივობები, მათ შორის ცურვა, ვარჯიში. უარს არ ამბობს ისეთ ექსტრემალურ სპორტზეც, როგორიცაა ჯომარდობა. მართალია ხშირად ამ ყველაფრის დრო არ რჩება, მაგრამ როგორც თვითონ აღნიშნავს, „ყველაზე ცოტა იმას მაინც ვახერხებთ, რომ კვირაში ერთხელ მაინც ბავშვებთან ერთად სუფთა ჰაერზე მხიარული ვარჯიშის და სეირნობის დღე მოვაწყოთ"

საუბრის დასასრულს ქალბატონმა მარიამ ქუჩულორიამ 95 წლის იუბილე მიულოცა „კოლხეთს"

„ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ ფაქტიურად ერთი საუკუნის გაზეთი აქვს ჩვენს ქალაქს და დღემდე ის ასეთი პოპულარობით სარგებლობს. ვუსურვებდი კიდევ უფრო მეტ წარმატებას."

გაზეთ „კოლხეთის “ რედაქცია თავის მხრივ ულოცავს ახალგაზრდა სენაკელს წლის ჯილდოს. მარიკა ქუჩულორია თავისი საქმიანობით წარმოაჩენს ჩვენს ქალაქს.

მაია ბერგაია

საუკუნოვანი ისტორიით, დიდი ტრადიციებით

„კოლხეთის" საპატიო რესპონდენტი, სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე , ზედიზედ ორი მოწვევის პარლამენტის წევრი, მრავალი ჯილდოს და ტიტულის მფლობელი ბატონი დემურ გადელია გაზეთის რედკოლეგიას ულოცავს 95 წლის შესრულებას და „კოლხეთის" ვეტერან ჟურნალისტებთან ურთიერთობის დეტალებს იხსენებს.

ბატონო დემურ, თქვენ გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მოყოლებული გაზეთ „კოლხეთის" რედაქციასთან ახლო კონტაქტი გაკავშირებდათ, თქვენი საწარმოს მიღწევებზე, თქვენს პირად ღვაწლსა და საქველმოქმედო საქმიანობაზე არაერთი კორესპონდენცია დაბეჭდილა, რა პარალელს გაავლებთ იმ პერიოდისა და ამჟამინდელ „კოლხეთს" შორის.

უპირველესად მადლობა მინდა ვუთხრა გაზეთ „კოლხეთის" მუშაკებს იმ პუბლიკაციებისა და კორესპონდენციებისათვის, რაც საწარმოს მიღწევებზე, საქართველოს პარლამენტში ჩემს სადეპუტატო მოღვაწეობაზე, ჩემს ქველმოქმედებაზე დაიწერა. ალბათ ცალკე გამოვყოფდი მადლობის ბარათებს, რომლითაც ჩემმა სენაკელებმა გამოხატეს გულწრფელი პატივისცემა სოციალური თუ ყოფითი პრობლემების გადაწყვეტაში აღმოჩენილი თანადგომისათვის. სიკეთის ქმნის უნარი უფლის მადლია, ადამიანისათვის მონიჭებული, გააჩნია ვინ როგორ გამოიყენებს ამ უნარს, ვის რა პოტენციალი აქვს.

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში გაზეთი „კოლხეთი" ყოფილი პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ორგანო იყო. ცხადია ერთპარტიული გაზეთი მოქცეული იქნებოდა „სტანდარტულ ჩარჩოებში", არც ჟურნალისტებს ჰქონდათ თვისუფალ თემებზე წერის უფლება. ამჟამად „კოლხეთს" მეტი თავისუფლება აქვს. მას შეუძლია გამოაქვეყნოს მასალები როგორც წარმატებულ ექიმზე, მუნიციპალიტეტის ამაგდარ პედაგოგზე, მშენებელზე, წარმატებულ ახალგაზრდებზე, ეკოტურიზმზე, მუნიციპალიტეტის სასიკეთო ცვლილებებზე, ისე რთულ სოციალურ პრობლემებზე. თუმცა აქვე მინდა ვთქვა, რომ ადამიანთა სოციალური პრობლემა ნაკლებად ჩანს თქვენი გაზეთის ფურცლებზე.

მიუხედავად ამისა, გაზეთი „კოლხეთი" საინტერესო და დასაფასებელია თითქმის საუკუნოვანი ისტორიით, დიდი ტრადიციებით, გამოცდილებით, ჟურნალისტთა თაობებით.

ბატონო დემურ, რა მიგაჩნიათ რეგიონალური მედიის ძირითად გამოწვევად და თვლით თუ არა რომ, რეგიონალურ მედიას მეტი ყურადღება სჭირდება საზოგადოების და ბიზნესის მხრიდან?

რეგიონალური მედიის ძირითადი გამოწვევა არის, ის რომ ნაკლებად გავრცელებადია ცენტრალურ მედიასაშუალებებთან შედარებით. რა თქმა უნდა მუნიციპალიტეტის გაზეთს მეტი ყურადღება სჭირდება საზოგადოების და ბიზნესის მხრიდან. გაზეთს მეტი ხელმომწერი უნდა ყავდეს, მეტი დაფინანსება უნდა ჰქონდეს, რომ უკეთესი ხარისხით გამოვიდეს(ვგულისხმობ პოლიგრაფიულ მხარეს). რამდენადაც ვიცი სენაკში სტამბა არ არსებობს და გაზეთის დასაბეჭდად „კოლხეთის" მუშაკებს უწევთ სხვა რაიონებში სიარული.

ადრე გაზეთ „კოლხეთთან" არსებობდა მშენებლობისა და ტრანსპორტის შტატგარეშე განყოფილება, რომელიც ამზადებდა რეპორტაჟებს საავტომობილო გზების, მექანიზაციისა და ავტოტრანსპორტის გაერთიანების, შემდგომში აგროსამშენებლო ფირმა „სენაკის" და სხვა სამშენებლო ორგანიზაციების ობიექტებიდან, რომელსაც საერთო კოორდინაციას უწევდა ქალბატონი გოგოლა მზარელუა.ხომ ვერ გაიხსენებთ „კოლხეთის" წინა თაობის ჟურნალისტებთან ურთიერთობის დეტალებს?

გეთანხმებით. მინდა ავღნიშნო, რომ სენაკში გასულ საუკუნეში არაერთი წარმატებული სამშენებლო ორგანიზაცია ფუნქციონირებდა. ყოველი ორგანიზაცია ცდილობდა ისეთი ობიექტები აეშენებინა, რაც დროს გაუძლებდა და მომავალ თაობას გააცნობდა წინაპრების საქმიანობას. მათ შორის იყო საავტომობილო გზების, მექანიზაციის და ავტოტრანსპორტის გაერთიანება, შემდგომში აგროსამრეწველო ფირმა „სენაკი", ამჟამად სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისი". ქალბატონი გოგოლა მზარელუა ძალიან ნიჭიერი ჟურნალისტი გახლდათ. მან იმდენად ზედმიწევნით იცოდა ტექნიკური ტერმინოლოგია, რომ თვით გამოცდილ ინჟინერ-მშენებელსაც შეშურდებოდა. სამშენებლო ობიექტებზე მოსული გაესაუბრებოდა მშენებლებს, სამუშაოთა მწარმოებელს და მეორე დღეს უკვე გაზეთში გამოქვეყნებული იყო სახელდახელოდ მომზადებული კვალიფიციური რეპორტაჟი.

მინდა პატივისცემით მოვიგონო გაზეთის ყოფილი რედაქტორები და მუშაკები მამანტი ქვარცხავა, ბორის შენგელია, თამაზ კანკია, სოლომონ კუჭავა, გალაქტიონ რობაქიძე, კარლო ტაბაღუა, იზოლდა ჩვამანია, ნათელი მათ ხსოვნას, ვეტერან ჟურნალისტს: ლამარა გადელიას და ყოფილ რედაქტორს ბატონ რევაზ ჯანჯღავას, პასუხისმგებელ მდივანს რევაზ გრიგოლავას ვულოცავ გაზეთის იუბილეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს.

მადლიერებას გამოვხატავ „კოლხეთის" დღევანდელი

მესვეურების, უნიჭიერესი ქალბატონების: ნინო სართანიას, მედეა ბაღათურიას, მარიკა მიქაბერიძის, მაია გერგაიას, ჟულიეტა ჩაჩიბაიას და შტატგარეშე თანამშრომელთა მიმართ, რომლებიც სახელოვნად აგრძელებენ გაზეთის საუკუნოვან ტრადიციას.

ბატონო დემურ, გაზეთი „კოლხეთი" 95 წლისაა, რას უსურვებთ გაზეთის რედაქციას და მის მუშაკებს?

საინფორმაციო საშუალებისათვის მთავარი სიცოცხლის-უნარიანობაა. არ არის ადვილი 95 წელი იარსებო, იღვაწო, იბრძოლო. წლებით დახუნძლულ, დაბრძენებულ „კოლხეთს" ვუსურვებ კვლავაც დაულოცოს გზა სიახლეებს, კვლავაც მოიწონოს მშენებლის ნახელავი, კვლავაც დარჩეს რაიონის მემატიანედ.

ძვირფასო „კოლხეთელებო" გილოცავთ 95 წლის იუბილეს, გისურვებთ პროფესიულ წინსვლას, უკეთეს სამუშაო პირობებს, უკეთეს პოლიგრაფიულ ბაზას, ფინანსურ სიძლიერეს. მშვიდობას შინ(ოჯახებში) და გარეთ-სამსახურში, ქალაქში, მუნიციპალიტეტში, ქვეყანაში.

თქვენი თითოეული ნომერი ყოფილიყოს უკეთესი მომავლის მაცნე.

მ. ეჯიბია

2018 წელი ჩვენთვისაც საიუბილოა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური ფუნქციონირებს 2013 წლის 5 აპრილიდან. სამსახური დაკომპლექტებულია 4 საშტატო ერთეულით. სამსახურის ხელმძღვანელი –I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გიორგი ხარგელია, II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯემალ გოქაძე, II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლალი ღუღუნიშვილი და III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლეილა გვაძაბია. თითოეული მათგანი წლების განმავლობაში მუშაობდა სოფლის მეურნეობის სფეროში სხვადასხვა თანამდებობებზე და შერჩეული არიან თავიანთი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების მიხედვით.

სამსახურის მიზანია გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სფეროში, მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ფერმერთა, კოოპერატორთა და აგრომეწარმეთა საკონსულტაციო მომსახურეობა (ექსტენცია), სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით განხორციელებული სახელმწიფო პროგრამების ფერმერებამდე მიტანა. შექმნილი გვაქვს მუნიციპალიტეტის ფარგლებში მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა და ვახორციელებთ სასოფლო –სამეურნეო პროდუქტებზე ყოველკვირეული საბაზრო ფასების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას.

ფერმერებთან კონსულტაციები მიმდინარეობს როგორც ოფისში, ასევე ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. თანამშრომლობა არის ორმხრივი. შექმნილი გვაქვს ფერმერთა საკონსულტაციო საბჭო, სადაც გაერთიანებული არიან წარმატებული და აქტიური ფერმერები. მუნიციპალიტეტში შექმნილია და ფუნქციონირებს 9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით, მონაწილეობენ სახელმწიფო პროგრამებში და ავითარებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას. წლების განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობთ, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან.

2018 წელი ჩვენთვის საიუბილეო წელია, ავღნიშნავთ 5 წლის იუბილეს.

ჩვენს სამსახურს აქტიური საქმიანი თანამშრომლობა აკავშირებს სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრთან, რომლებიც პერიოდულად აშუქებენ როგორც ჩვენს საქმიანობას, ასევე ფერმერთა და კოოპერატორთა მიღწევებს.

გაზეთ „კოლხეთს" ვულოცავთ 95 წლის იუბილეს, თითოეულ თანამშრომელს ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს!

სენაკის მუნიციპალიტეტის
საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური

სასკოლო მზაობის ჯგუფი– მზადება ცხოვრების ახალი ეტაპისათვის

სენაკის ქართულ-რუსულ არასახელმწიფო საბავშვო ბაღი „ზღაპრული კოშკი" -- „TEREMOK"-ი თავისი არსებობის თითქმის ორ ათეულ წელს ითვლის.

ბაღში აღსაზრდელები დაყოფილია ასაკობრივ ჯგუფებად, რომელთა სწავლა-აღზრდა ხდება ფსიქოლოგებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ შემუშავებული პროგრამებით. სკოლამდელი ასაკი ბავშვის განვითარების ციკლის უმნიშვნელოვანეს პერიოდს წარმოადგენს. ბაღში ყველა პირობაა შექმნილი და იმ ძირითადი უნარების ჩამოსაყალიბებლად, რომელთაც შემდგომში ბავშვი გამოიყენებს როგორც სკოლაში, ასევე მთელი ცხოვრების მანძილზე.

მშობლიური ენის დაუფლება ხდება სკოლამდელ ასაკში. პედაგოგების ძალისხმევით ბავშვის მეტყველება ვითარდება თამაშის, მხატვრული კითხვისას. მშობლიურ ენასთან ერთად აღსაზრდელები სწავლობენ რუსულ და ინგლისურ ენებს, ძირითადად თამაშით, ზღაპრების კითხვით და სიმღერების შესწავლით, თვალსაჩინო და დიდაქტიკური მასალების გამოყენებით.

„ზღაპრული კოშკი" გამორჩეულია თავისი ადგილმდებარეობით და გამწვანებით. ეზოს ტერიტორიაზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სათამაშო გასართობ და სპორტული აქტივობების ჩატარების ღონისძიებებს.

ეზოში მოწყობილია წონასწორობის განმავითარებელი საშუალებები. ბუნების გაცნობა მცენარეებზე, ბუნებრივ მოვლენებზე, ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე ხდება ბაღის ტერიტორიაზე. ეჩვევიან მათზე ზრუნვას, უვლიან ოთახის მცენარეებს. სათამაშოები ბუნებრივი მასალისაა: ხის ნაჭრები, კენჭები, გირჩები ნიჟარები, ასაწყობი დიდაქტიკური მასალები, რაც უსაფრთხოა ბავშვებისათვის, აგრეთვე კუბურები კონსტრუქციული ინტელექტის განვითარებისთვის.

ბაღის გარემო იძლევა მდიდარი ფანტაზიის გამოვლენისა და განვითარების საშუალებას: როლური, ჯგუფური და ინდივიდუალური თამაშებისათვის ჯგუფებში არსებული ავეჯი იძლევა იმის შესაძლებლობებს, რომ ბავშვმა კომფორტულად და უსაფრთხოდ იგრძნოს თავი. აღსაზრდელები იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარი მოხმარების ნივთებზე და სათამაშოებზე მოვლის ჩვევის განსავითარებლად.

ბაღში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუსიკას, ქორეოგრაფიას, სახვით ხელოვნებას და ძერწვას. ხატვა და ძერწვა ბავშვს ეხმარება თვალისა და ხელის შეთანხმებული მოქმედების დაუფლებაში. ბავშვში სიხარულის უნარის გამომუშავებას ემსახურება საერო და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა, რომელსაც თან ახლავს საყვარელი ზღაპრული პერსონაჟების განსახიერება. ამჟამად ბაღში სასკოლო მზაობის ჯგუფში დიდი ინტერესით და აქტიურობით მიმდინარეობს მზადება სბავშვო ბაღთან გამოსათხოვარი ღონისძიებებისთვის, რომელიც დიდი მოვლენაა ბავშვის ცხოვრებაში.

„ზღაპრული კოშკის" ხელმძღვანელია ლუდმილა ნაჭყებია. აღმზრდელ-მასწავლებლები: თეა ჭანტურია, ნათია ბაბუაძე. მუსიკალური ხელმძღვანელი – ნათია ბუკია. ქორეოგრაფი – გიგა ბუკია.

ბაღში შექმნილია ყველა პირობა აღსაზრდელთა ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და სულიერი განვითარებისთვის.

ნათია მურღულია

„სენამედი"– რეგიონის წარმატებული კლინიკა

სენაკში არსებულ სამედიცინო დაწესებულება „სენამედს" სულ რაღაც 18 წლიანი ისტორია აქვს, მაგრამ დღესდღეობით რეგიონში ყველაზე წარმატებულ კლინიკად ითვლება. სენამედი წარმოადგენს მრავალფუნქციური ტიპის სამედიცინო კლინიკას, რომელიც გარდა სამეანო განყოფილებისა მოიცავს სხვადასხვა სამედიცინო განყოფილებებს.

2001 წელს იგი დაარსა ბატონმა გია თოლორდავამ. კლინიკაში მუშაობს 120-მდე თანამშრომელი. კლინიკა აღჭურვილია უახლესი აპარატურით და მაღალი კვალიფიკაციის მქონე მედ. პერსონალით.

ბატონმა გია თოლორდავამ 1989 წლის დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. შემდეგ გაიარა 3 წლიანი ორდინატურა. 1993 წლიდან მუშაობდა სენაკის სამშობიარო სახლში მეან-გინეკოლოგად. ხოლო 2001 წლიდან დაარსა კლინიკა სენამედი, რომელიც იწოდებოდა სამშობიარო სახლად და გათვლილი იყო მხოლოდ 8 საწოლზე. მეუღლე ქეთი ღვინიაშვილი, პროფესიით რეპროდუქტოლოგი – გინეკოლოგი არის კლინიკა „სენამედ+"-ის დირექტორი. ბატონ გიას ჰყავს ორი შვილი. ვაჟმა ვლადიმერმა დაამთავრა პრაღის "ნიუ-იორკის უნივერსიტეტი" ფსიქოლოგიის განხრით. ქალიშვილი თამარი სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მე-4 კურსზე ამერიკული პროგრამით.

ბატონ გიას მივმართეთ რამდენიმე კითხვით.

რამ განაპირობა თქვენი პროფესიული არჩევანი. ოჯახურმა ტრადიციამ თუ საქმის სიყვარულმა, ცნობილია თქვენი მამა ბატონი ვლადიმერ თოლორდავა რაიონის ექიმთა საზოგადოების ცნობადი სახე იყო. არის თუ არა მისი ფაქტორი თქვენს პროფესიულ არჩევანში?

ვერ ვიტყვი რომ საქმის სიყვარულმა, რადგან არ შეიძლება გიყვარდეს საქმე, რომელიც არ იცი. ამიტომ ვთვლი, რომ ეს იყო უფრო ოჯახური ტრადიციის გაგრძელება, ანუ მამის ფაქტორი.

კლინიკა „სენამედი" წარმატებულია რეგიონში. რა არის ამ წარმატების „საიდუმლო", კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კადრების კვალიფიციურობა, გულისხმიერი დამოკიდებულება პაციენტებისადმი თუ სამივე ერთად?

პირველ რიგში მოგახსენებთ სტრუქტურულად თუ რას წარმოადგენს „სენამედი". სეანმედი არის დამფუძნებელი „სენამედ+"-ის, რომელიც წარმოადგენს სადიაგნოსტიკო განყოფილებას. მასში შედის ამბულატორიული სექტორიც. უშუალოდ სენამედში შედის სტაციონარი. სტაციონარი მოიცავს: სამეანო, ქირურგიულ-გინეკოლოგიურ. ოფთალმოლოგიურ და ბავშვთა დეპარტმენტებს. კეთდება კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევა.

რაც შეეხება თქვენს კითხვას. ჩვენი წარმატების საიდუმლო არის ის, რომ გვაქვს მუდმივად განახლებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კადრების კვალიფიკაცია და სიახლეების დანერგვა, თუმცაღა ყველაფერი პროტოკოლითა და გაიდლაინებით სრულდება მკურნალობის ყველა ეტაპზე და რაც მთავარია ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანური მიდგომები, როცა შეგიძლია გაიგო მისი ანუ პაციენტის და პირიქით.

გვყავს 120-მდე თანამშრომელი. მედ.პერსონალი დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრებით. ძირითადად მუშაობენ სენაკელი ექიმები,მაგრამ გვყავს მოწვეულებიც. ძალიან მალე ვაპირებთ გავხსნათ ქირურგიული დეპარტამენტი, რომელსაც უხელმძღვანელებს სწორედ თბილისიდან მოწვეული ექიმი.

რა სახის გამოკვლევების ჩატარება შეიძლება „სენამედში", რა სიახლეებია და რა სახელმწიფო პროგრამები მოქმედებს კლინიკაში?

კლინიკაში ტარდება თითქმის ყველანაირი გამოკვლევა. გვაქვს ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ექოსკოპიის აპარატი. შეიძლება ითქვას, რომ მსგავს საქართველოშიც იშვიათად გვხვდება. გარდა ამისა კლინიკას გააჩნია კიდევ ოთხი აპარატი პორტატული, რომელიც სრულიად ფარავს ექოსკოპიური კვლევების სპექტრს. ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რენდგენოლოგიური აპარატურა, კომპიუტერული ტომოგრაფი.



თითქმის ყველაფერი კეთდება ავტომატურ ანალიზატორებზე. არის ნახევრად ავტომატიზირებული და სრულიად ავტომატიზირებული კვლევები ანუ ექიმის შეცდომა თითქმის გამორიცხულია. ეს ექვემდებარება გარე კონტროლსაც ჩამოდიან სპეციალისტები და აკალიბრებენ ამ აპარატებს. ანალიზებში ცდომილება გამოწვეულია იმით, რომ არ ხდება დაკალიბრება. „სენამედში ეს თვეში ერთხელ კეთდება, შესაბამისად ცდომილებისგანაც დაზღვეული ვართ. ჩვენთან ეს თვეში ერთხელ მუდმივად კეთდება და ჩვენ ამას გარე კონტროლს ვეძახით.

ჩვენთან სახელმწიფო პროგრამები მოქმედებს სტანდარტულად, როგორც ყველგან. მშობიარობა ფინანსდება 500 ლარით და საკეისრო კვეთა 800 ლარით, ხოლო სხვაობას კლინიკის ფასსა და დაფინანსებას შორის პაციენტი თავად იხდის. სხვანაირად წარმოუდგენელიც იქნებოდა, რადგან სხვა შემთხვევაში კლინიკა ვერ განვითარდება, თუ არ იქნა შემოსავალი.

როგორია შობადობის მაჩვენებელი 2017-18 წლებში სხვა წლებთან შედარებით. თქვენი აზრით რა არის საჭირო ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციის გამოსასწორებლად?

სამწუხაროა მაგრამ ფაქტია, რომ შობადობის მხრივ გვაქვს ძალიან დიდი კლება. მე მარტო ჩემი კლინიკს ინფორმაციას არ ვეყრდნობი, ზოგადად მაქვს ინფორმაცია რეგიონში რაც ხდება, დაახლოებით 20%-იანი კლება.

რაც შეეხება დემოგრაფიული პრობლემის გამოსწორებას ამას ასე ცალსახად ვერ ვიტყვით, რა უფრო ეფექტურია. მაგრამ ჩემი აზრით ერთ-ერთი დიდი მიზეზი, რაც აისახა დემოგრაფიაზე, არის ბევრი ადამიანის ქვეყნიდან გასვლა. ძირითადად გადიან რეპროდუქციული ასაკის ადამიანები ანუ ის ვინც უნდა გამრავლდეს – ახალგაზრდობა. როცა ახალგაზრდობა ქვეყნიდან გადის ერი ბერდება. ჩემი აზრით საჭიროა გატარდეს კომპლექსური ღონისძიებები. აუცილებელია მხარდაჭერა სახელმწიფოს მხიდან. სამწუხაროდ ეს პრობლემა იმაზე გლობალურია ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღების ხელშეწყობად ვთვლი ინიციატივას ჩვენს კლინიკაში აბორტის აკრძალვის შესახებ. აბორტი ცუდია მორალურადაც და შემდგომშიც გართულებებს იწვევს. ეს კი არც ერთი კლინიკისთვის არ არის რენტაბელური.

ძალიან სასიამოვნოა, რომ კლინიკის გვერდით არის ტაძარი, რომელიც აშენდა თქვენი თანადგომით. ვისი სახელობისაა ტაძარი და როდიდან იქნება მოქმედებაში?

ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა, უახლოეს მომავალში ჩვენ გადავცემთ საპატრიარქოს და მისი მართვა მთლიანად შევა მათ კომპეტენციაში.

ბატონო გია, დასასრულს როგორ შეაფასებთ გაზეთ „კოლხეთის" 95 წლიან ისტორიას?

სხვათაშორის უამრავი ამ ტიპის გაზეთი განვლილი უბედურებების დროს დაიხურა და შემდეგ აღარც განახლებულა. ძალიან მისასალმებელია, რომ თქვენმა გაზეთმა ამ კატაკლიზმებს და სირთულეებს გაუძლო და ახალი შემართებით მიიწევთ წინ.

პირველ რიგში გისურვებთ გაცილებით მეტ ტირაჟს და უკეთეს ბეჭდვით ხარისხს. ზოგადად ძალიან მომწონს თქვენი გაზეთი და გისურვებთ პროფესიულ წინსვლას.

მარიკა შამათავა

მადლობა

შპს „ბავშვთა საავადმყოფო-პოლიკლინიკის" მედპერსონალი გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით.

ჩემს შვილიშვილს ზაზა გვასალიას ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემა. არ შემიძლია არ ავღნიშნო ექიმის დარეჯან პეტრიაშვილის, მედდების მანანა ჭაავას, სალომე ლომიას, მედდის თანაშემწის ნანი ბარქაიას უბადლო პროფესიონალიზმი. ისინი გვერდიდან არ მოშორებიან ჩემს შვილიშვილს. ყველაფერი გააკეთეს მის გამოსაჯანმრთელებლად.

დიდხანს სიცოცხლს, მრავალ მადლიერ პაციენტს ვუსურვებ სახელოვან ქალბატონებს. ისეთი კლინიკის არსებობა, როგორიც შპს „ბავშვთა საავადმყოფო-პოლიკლინიკაა"(დირექტორი იამზე დგებუაძე) მართლაც დიდ იმედს უნერგავს როგორც პატარა პაციენტებს, ისე მათ მშობლებს.

ლია ადამია

იმუნიზაცია გადაარჩენს სიცოცხლეს, „აცრი და დაიცავი"

ასეთი სლოგანია იმუნიზაციის კვირეულისა, რომელიც ტარდება აპრილის ბოლო კვირას.

იმუნიზაციის გარეშე საზოგადოებრივის ჯანდაცვის ყველა პროგრამა აზრს დაკარგავდა „ჩვენ ვიცრებით რათა გადავარჩინოთ ჩვენი მომავალი"-ასეთია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ბიუროს სლოგანი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და შესაბამისად საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა.

2018 წლის აპრილის ბოლო კვირას საქართველოში ტარდება იმუნიზაციის კვირეული მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, რომლის ფარგლებში ხორციელდება ფართომასშტაბიანი საკომუნიკაციო ღონისძიებები რაიონის ფარგლებში.

გახსოვდეთ-„იმუნიზაცია გადაარჩენს სიცოცხლეს, ჩვენ არა მხოლოდ ჩვენი შვილების დასაცავად ვიცრებით, ჩვენ აგრეთვე ვიცრებით ჩვენი შვილიშვილების და მათი შვილთაშვილების დასაცავად".

„ჩვენ ვიცრებით, რათა გადავარჩინოთ ჩვენი მომავალი"

მოგიწოდებთ ჩაერთოთ აპრილის ბოლო კვირას გამოცხადებულ იმუნიზაციის კვირეულში.

სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი